საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლ-ევური სიფცეკვაა, ფეფილებით და ჯიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 22 დეკემბერი. 2022 წ. №190 (9528) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ფსიქოლოგიური „მანაჩენი“



იხ. 5 გვ.

რამაზ საყვარელიძე:

სააკაშვილს არასტაბილური ფსიქიკური მდგომარეობა სულ ჰქონდა. ახლა, როდესაც ის ხიფათის ქრონიკულ ადგილას ჩასვეს, სულ ქრონიკული უკმაყოფილების განცდა ექნება. ასეთი ნერვული სისტემის მქონე ადამიანიდან, როგორიც სააკაშვილია, არაა გამორიცხული ისეთი სურათის მიღება, რომელიც ავადმყოფობას წააგავდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის კვდება

მიშა ასეთია: თუ გადაწყვიტა, რომ ავადმყოფია, მისი სხეული ამას შეუსრულებს, ფეხებიც წაერთმევა და ბევრი რამეც!

ბიძინა დვალი:

აი, ნახეთ, წამებით და მოწამვლებით პუტინმა სულ ბანძ ჩმორს დაამსგავსა ეს ჩვენი ნაპოლეონი, ბისმარკი, ჰერაკლე და გოგიერთის ჯინაგე, კალიგულაგე არანაკლები კალიგულა სამას მეექვსე პალატიდანო...

ნეოლიბერალური „წესრიგი“ და ქართველი „ქალიგულა“

იხ. 4 გვ.

ჩვენო დიდო პატრიარქო!



ძვირფასო მკითხველო, მართლმადიდებელო ქრისტიანნო, ამ დღეებში აღინიშნება ჩვენი „ცოცხალი წმინდანის“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავი. დღეიდან ვიწყებთ ამ გამორჩეული თარიღისადმი მიძღვნილი წერილების პუბლიკაციას.

იხ. 3 გვ.

შავი ზღვის წყალქვეშა სადენი - საქართველოს უდიდესი წამოწყება

იხ. 7 გვ.

წლის მთავარი ეკონომიკური პროექტი!

საქართველო უქართველებოდ?!

იხ. 6 გვ.

გვინდა კი ქართველობის გადარჩენა?

გავაზაფხულოთ „დემოგრაფიული ზამთარი“!

კახა კალაძე:

დღესასწაული არის იქ, სადაც ერთობა, მშვიდობა და სიყვარულია

იხ. 2 გვ.

ნარკოტიკალიზაციორთა ფეხქვეშ მინა მართლაც უნდა იწვოდეს!

სალომე ზურაბიშვილმა თავდაცვის ძალებს ეროვნული გვარდიის დღე მიულოცა

უმაღლესმა მთავარსარდალმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში ეროვნული გვარდიისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, მეუღლეებთან ერთად, წინასაახალწლო მიღებაზე უმასპინძლა.

ზურაბიშვილმა თავის სიტყვაში ეროვნულ გვარდიას და თავდაცვის ძალებს წარმატება უსურვა და, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, ყველა თაობისა და წოდების გვარდიელს მადლობა გადაუხადა სამსახურისთვის.

„საქართველოს თავდაცვის წარმომადგენლების საახალწლო მიღება ჩვენ უკვე წესად გვექცა და ძალიან მიხარია. მიხარია, რომ მეძღევა საშუალება ორბელიანების სასახლეში გიმასპინძლოთ და მადლობა მოგახსენოთ ქვეყნის სამსახურისთვის. დღევანდელ დღეს და დღევანდელ გეოპოლიტიკურ გარემოცვაში ეს არ არის მხოლოდ ფორმალური მადლობა.

ასევე, ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად არიან ის ადამიანები, თქვენი მეუღლეები, რომლებიც მუდმივად გვერდში გიდგანან და ვის გარეშეც თქვენ ასეთი გამართულები ალბათ ვერ იქნებოდით. ოჯახის ძალა დიდია და სამხედრო პირისთვის კიდევ უფრო დიდი საყრდენია.

დღევანდელი ჩვენი ღონისძიება ემთხვევა, (თუმცა ეს დამთხვევა ნამდვილად არ არის), ეროვნული გვარდიის დღეს და მიხარია, რომ ამ დღეს ერთად აღვნიშნავთ აქ, და სწორედ 20 დეკემბერს, რამეთუ 1920 წლის 20 დეკემბერს, ანუ 102 წლის წინ, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა ეროვნული გვარდია.

ასევე, უნდა გავიხსენოთ ის, რომ 12 დეკემბერს დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდია. ღირსშესანიშნავია, რომ 1918 წლიდან გვარდიამ მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ყველა ბრძოლაში, ყველა ომში და ამისთვის ჩვენ მათ მიმართ მართლაც დიდი მადლიერება გვეუფლება.

მინდა მივულოცო თავდაცვის ძალების ყველა წარმომადგენელს. ძალიან ბედნიერი და მშვიდობიანი წელი ყოფილიყოს, წელი, რომელიც ნახავს საქართველოს გამთლიანებას, გაძლიერებას და ეს იქნება ყველა ჩვენი წარსული ბრძოლების ყველაზე დიდი, უმაღლესი გამართლება.

უქმე დღეები ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები უქმე დღეებად განისაზღვრა.

შესაბამის დადგენილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ და სისტემაში შემავალ სამსახურებს და მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე. ამასთან, აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

სებასტიან მოლინეუსი:

საქართველო პირველ ადგილზეა საჯარო ფინანსების მართვის სისტემით

საქართველო დღეს პირველ ადგილზეა განვითარებადი ბაზრებისა და ქვეყნების რეიტინგში თავისი საჯარო ფინანსების მართვის სისტემით და 2016 წლის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ეს უდავოდ ძალიან შთამბეჭდავი მიღწევაა. ეს დასტურდება სხვა საერთაშორისო კვლევებითაც, მაგალითად, „ღია ბიუჯეტის ინდექსით“, სადაც საქართველო პირველ ადგილზეა ბიუჯეტის გამჭვირვალობის ნიშნით, – აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა.

2022 წლის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) გლობალური ანგარიშის მიხედვით, PEFA-ს შეფასებით, საჯარო ფინანსების მართვის მუდმივი გაუმჯობესებით, საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოს 59 ქვეყანას შორის. სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების შედეგების მიხედვით, წარმოდგენილი 31 ინდიკატორიდან 27 გაუმჯობესდა ან შენარჩუნდა 2018 წლის შეფასებასთან შედარებით.

საქართველოს სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) და გენდერულ ასპექტებზე ორიენტირებული საჯარო ფინანსების მართვის (GRPFM) შეფასების ანგარიშები მსოფლიო ბანკმა ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით და ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა.

სების მართვის სისტემა ამ ჭრილშიც შევაფასეთ საქართველოში. ამ სფეროში წინსვლას რომ ვაანალიზებთ, ცხადი ხდება, რომ ოდნავ მეტი სამუშაოს შესრულებაა საჭირო და სიამოვნებით ვაგრძელებთ ძლიერ პარტნიორობას ფინანსთა სამინისტროსთან ამ მიმართულებით თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

მადლობა მინდა გადავუხადო პარტნიორებს, განსაკუთრებით, ევროკავშირს და სხვებს ამ ანგარიშზე მუშაობის კონტექსტში, ასეთი ძლიერი თანამშრომლობისთვის“, – განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა.

საქართველოს სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) და გენდერულ ასპექტებზე ორიენტირებული საჯარო ფინანსების მართვის (GRPFM) შეფასების ანგარიშები მსოფლიო ბანკმა ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით და ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა.

დღესასწაული არის იქ, სადაც ერთობა, მშვიდობა და სიყვარულია

23 დეკემბერს, 19:00 საათზე, ორბელიანის მოედანზე საახალწლო სოფელი საზეიმოდ გაიხსნება. ამ ტერიტორიაზე თოვლის გაგუა დაიდგმა გინას და სხვადასხვა სახის ღონისძიებები გაიმართება, – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„საახალწლო სოფელი“ 23 დეკემბერს გაიხსნება და ყველას გვექნება შესაძლებლობა, მივიდეთ, მივიყვანოთ ჩვენი შვილები, შვილიშვილები, გავერთოთ. არ გამოტოვოთ, თქვენს პატარებთან ერთად დაესწარით ნამდვილ დღესასწაულს. თქვენ გელოდებათ ე.წ. ფლეშმობი და საახალწლო კონცერტი ყველასთვის საყვარელი შემსრულებლებით. დრამერები და ქუჩის თეატრის მსახიობები შექმნიან დაუვიწყარ სანახაობას. რაც მთავარია, 23 დეკემბერს, 19:00 საათზე, თოვლის გაგუა მომრძანდება და გინას დაიდებს „საახალწლო სოფელში“. დარწმუნებული ვარ, მას დიდი სტუმრიანობა ექნება ამ სადღესასწაულო დღეებში. 14 იანვრამდე, ყოველდღე სხვადასხვა ღონისძიება და კონცერტი გაიმართება, სადაც ქართული ესტრადის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ასე რომ, გელით ყველას ორბელიანის მოედანზე. დღესასწაული არის იქ, სადაც ერთობა, მშვიდობა და სიყვარულია. ერთად შევქმნათ საახალწლო განწყობა ჩვენს ქალაქში.

ორბელიანის მოედანზე, 9 აპრილის გაღსა და ათონელის ქუჩაზე განთავსდება მრავალფეროვანი საახალწლო დეკორაციები, ინსტალაციები. მოეწყობა საგავშვოგასართობი წარმოდგენები, კონცერტები და ზღაპრის გმირების სადღესასწაულო მსვლელობები. ასევე, გასართობი აქტივობები – სანტას სახელოსნო და ვორქშოფები, ცეკვის კარაოკე, ფოტოზონა სანტასთან ერთად და საგავშვო სივრცე ჯადოსნური შოუებისთვის. ტრადიციულად, „საახალწლო სოფელში“ მოქალაქეებს საშობაო გაზრობა, ტკბილეულის ფესტივალი და მრავალფეროვანი კვების ობიექტები უმასპინძლებს.

ყოველდღიურად, ორბელიანის მოედანსა და ათონელის ქუჩაზე განთავსებულ სადღესასწაულო სცენებზე მუსიკალური საღამოებიც გაიმართება“...

ვანდალიზმი ერთ-ერთი მძიმე პრობლემაა და მას ყველა ერთად უნდა შევებრძოლოთ

გოლო პერიოდში დედაქალაქის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული სპეციალური აპარატურით აღჭურვილი 18 შუქნიშანი დააზიანეს, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„როგორც ვთქვი, ყველა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება ინკლუზიურობის პრინციპით და არის ადაპტირებული. შუქნიშნებზე დამონტაჟებულია გან-

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲓᲘᲓᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝ, ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ“, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 90 ᲓᲐ ᲐᲦᲡᲐᲧᲓᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ 45 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲡ, ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲡ

მოკრძალებითა და გამორჩეული ქრისტესმიერი სიყვარულით გვინდა გულწრფელად მოგილოცოთ 90 წელი დაბადებიდან, სამღვდელო მოღვაწეობის 65 და საქართველოს საპატრიარქო მაღალ ტახტზე აღსაყდრების 45 წლისთავი.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,

თქვენ სრულიად საქართველოს 141-ე მღვდელმთავარი ბრძანდებით. ბევრი ღირსეული წინაპარი გყავდათ. თქვენ შეძელით ის, რაც ვერავინ მოახერხა. ორმოცდახუთ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც უფალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად გამოგარჩიათ (არც ერთ თქვენს წინამორბედს ამდენი არ უმოღვაწია). ეს უდიდესი პატივი იყო ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსთვის, მისი ხალხისთვის. თქვენ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანეთ საქართველოს ეკლესია, ახალი ძალა მიეცით და სიწმინდის სული შთაბერეთ წინაპართა ტრადიციებს. თქვენ გააერთიანეთ ერი და ეკლესია; საზოგადოება კვლავ შემოაბრუნეთ ქრისტიანობისაკენ. თქვენი დიდი მცდელობის შედეგია, რომ ჩვენი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიომ ავტოკეფალურად აღიარა. თქვენი ყურადღება არ მოჰკლებია არც ერთ სფეროს ჩვენი ცხოვრებისა: მეცნიერებას, განათლებას, განსაკუთრებით უმაღლეს სკოლას. ქვეყანაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა თქვენი ქმედითი მონაწილეობის გარეშე. უშუალოდ თქვენს სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ტაძრების აღდგენა-მშენებლობა. თქვენ მრავალმხრივი ჭეშმარიტი ხელოვანი ბრძანდებით — ხელგეწიფებათ ბრწყინვალე მუსიკალური შედევრებისა და დიდებული მხატვრული ნაწარმოებების შექმნა. თქვენ ჭეშმარიტი მწყემსი ხართ ქრისტიანული საქართველოსი, ერზე, ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, მასზე მოფიქრალი და მისთვის მლოცველი.

თქვენ — ფეხშიშველმა კლდეში გამოკვეთილი ოთხი ათასი საფეხური აიარეთ და ასე მიეახლეთ სინას მთაზე წმიდა მწვერვალს, მადლობა შესწირეთ უფალს... ილოცეთ საქართველოსთვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ეს ლოცვა ეპისტოლარულ-მჭევრმეტყველებითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

დიდად ვამაყობთ თქვეთან ახლო ურთიერთობით, რომლის საფუძველსაც თქვენი თავმდაბლობით გვაძლევთ. თქვენი თანადგომა გამორჩეული იყო ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებლისადმი, ალმა-მატერისადმი. დაუვიწყარია ის აღფრთოვანება, რომლითაც თქვენ შეხვდით ცნობას — უნივერსიტეტის ეზოში დავით აღმაშენებლის სახელზე ეკლესიის აშენების თაობაზე. თქვენ აკურთხეთ ეს ტაძარი, რომელიც სულიერების კორპუსად იქცა უნივერსიტეტში. დაუვიწყარია ის ძალისხმევა, რაც თქვენ გასწიეთ ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის შექმნისთვის. ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერის ნათელი გამოხატულება იყო გელათის აკადემიის დაარსება. თქვენ, თავად მეცნიერი მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების საპატიო წევრი ბრძანდებით, არჩეული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!

ჩვენს მისალოც წერილს სრულიად არა აქვს თქვენი დიდი მოღვაწეობის შეფასების პრეტენზია. ეს იოლი საქმე არ არის. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება თქვენდამი განუზომელი სიყვარულითაა ნაკარნახევი. ასეა თქვენს მიმართ განწყობილი მთელი საქართველო, დავაზუსტებთ — გონიერი საქართველო. საერთაშორისო საზოგადოებამ თქვენ „ცოცხალ წმინდანად“ მიგიჩნიათ. ვამაყობთ, რომ თქვენს ეპოქაში ვცხოვრობთ, თქვენი თანამედროვენი ვართ. თქვენ, საკუთარი მაგალითით წარმოადგენთ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პიროვნებას — დიდ პატრიოტს; გამოირჩევით დღევანდელობაზე დღენიადაგ ზრუნვით და არ გტოვებთ მომავლის იმედი, რწმენა საქართველოს გაბრწყინებისა, თქვენ გვჭირდებით ჩვენ — ქართველ ერს, სრულიად საქართველოს. ერის განაწესი ასეთია — იცოცხლოთ მრავალჟამიერ ჩვენი ხალხისა და თქვენი სანუკვარი საქართველოსთვის.

ერთხელ კიდევ გილოცავთ საიუბილეო დღესასწაულებს - თქვენი მწყემსებრივი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლდეს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს.

მოკრძალებით,
მარად თქვენთვის მლოცველნი
ᲚᲣᲘᲖᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ
2022წ. ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

საკუთრებული დაცვის ღილაკი, რომელიც აღჭურვილია აკუსტიკური მახასიათებლებით. ასევე, შუქნიშნის სხვადასხვა ფაზა ინტეგრირებულია ხმოვანი სიგნალითა და ვიბრაციით. ბოლო პერიოდში ასეთი 18 მოწყობილობა დააზიანეს, რაც ძალიან სამწუხარო და ცუდია. ისინი განკუთვნილია მცირემხედველი ან უსინათლო პირების გადაადგილებისთვის და თითოეულის ღირებულება 2 500 ლარს შეადგენს. სამწუხაროა ასეთი ფაქტები და ზოგადად, ვანდალიზმი, რომელიც ქალაქში გვაქვს. ასე არაფერი გამოვა. თუ მუნიციპალიტეტი ვალდებულია, რომ ქალაქზე იზრუნოს, გაითვალისწინოს თითოეული მოქალაქის საჭიროება და მათი უსაფრთხოება, ასევე, ვალდებულია თითოეული მცხოვრები, გაუფრთხილდეს საერთო ქონებას, ქალაქს, ინფრასტრუქტურას. ჩვენ ერთად ვქმნით და ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტს. თუ ჩვენვე დავაზიანეთ, ჩვენვე დავამტვრევთ, ქალაქის განვითარება და კეთილმოწყობა გაგვიჭირდება“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ᲒᲐᲜᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ!

შპს „მამისონი“, რომელიც მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციას აკეთებდა, არის პრობლემური, უპასუხისმგებლო კომპანია, შესაბამისად, ჩვენ არ ვთლით საჭიროდ, რომ მოხდეს ამ კომპანიასთან სამუშაოების გაგრძელება!

„სამუშაოების დაგვიანების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ არ აწარმოა საჭირო დოკუმენტაცია, ჯერ არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზა. მიმდინარეობს ექსპულატაციაში მიღების პროცედურები, დადგენილია გარკვეული დეფექტები, რომელსაც სჭირდება გამოსწორება.

აღნიშნული კომპანია, ვინც ამდენი ხნის განმავლობაში აწარმოებდა სამუშაოებს, არის ძალიან პრობლემური, უპასუხისმგებლო კომპანია, შესაბამისად, ჩვენ არ ვთლით საჭიროდ, რომ მოხდეს ამ კომპანიასთან სამუშაოების გაგრძელდება და არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ ეს კომპანია დადგენილი დეფექტების გამოსწორებას შეძლებს. მინდა, დავავალო ვიცე-მერს, ასევე სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელს, რომ გაწყვიტოთ ხელშეკრულება აღნიშნულ კომპანიასთან. ეს არის უპასუხისმგებლო კომპანია და არ გვაქვს სურვილი, მათთან თანამშრომლობის. მიიღეთ ყველა ზომა, რომ აღნიშნული კომპანია ვერც ერთ სატენდერო პროცედურებში ვეღარ მოხვდეს მომდევნო წლების განმავლობაში. გააკეთეთ ყველა გადასადგმელი ნაბიჯი, რაც მოახდენს აღნიშნული კომპანიის გაშავებას. ასეთი კომპანიები არის მხოლოდ და მხოლოდ დამაზიანებელი.

აიღეთ პასუხისმგებლობა და ჩვენვე გამოვასწოროთ. თანხები რაც დაიხარჯება სასამართლოს გზით, მოთხოვეთ აღნიშნულ კომპანიას. აღნიშნული კომპანია გახლავთ შპს „მამისონი“. რაც შეიძლება სწრაფად გამოვასწოროთ დეფექტები, რაც არის დადგენილი და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ექსპულატაციაში მიღება და მოემსახუროს მგზავრებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ᲒᲐᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐ�გᲐ-ᲑᲐᲦᲔᲑᲘ“!

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მერია თბილისის ბაგა-ბაღებში გამწვანების პროექტს იწყებს.

პროექტი საბავშვო ბაღების ეზოების ახალი ნარგავებით შევსებას ითვალისწინებს. სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება, საიდანაც ეს პროექტი დაიწყება, №169 ბაგა-ბაღია.

„წლის ბოლოს კიდევ ერთ ძალიან კარგ პროექტს ვიწყებთ. ეს არის „გაამწვანე თბილისის ბაგა-ბაღები“, რომელიც საკრებულოში სამგორის მაჟორიტარი დეპუტატის, რევაზ სოხაძის ინიციატივა იყო და სიამოვნებით გავიზიარეთ. პროექტის მიხედვით, ბაღის ტერიტორიაზე 200-მდე ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი დაირგვება. ეს სტანდარტი განევრცობა სხვა ბაგა-ბაღებზეც, რომლებსაც არა აქვთ გამწვანებული ეზო. ვიცი, რომ ბევრი მშობელი ინტერესდება ბაღის ინფრასტრუქტურით და ასეც უნდა იყოს. ბევრი ახალი ბაღი ავაშენეთ, ასევე, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. გვაქვს შემთხვევები, როდესაც გვიწევს შენობის დემონტაჟი და ახალი პროექტის განხორციელება, რადგან რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. პროექტის განხორციელებით, ბაგა-ბაღები უნდა იყოს კიდევ უფრო მეტად მოწესრიგებული და გამწვანებული, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, პატარებს გამწვანების სიყვარული თავიდანვე ჩავუნერგოთ“...

არამზადების შემოსევა!..

ნუგზარ ფოფხაძე:

მოვისმინე **უკიდეგანო უტიფრობით ცნობილი „პოლიტტიპაჟის“ ბოლმით და შურით სავსე კომენტარი ნიკა ღარიბაშვილის პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩარიცხვის ფაქტის გამო.**

ნუ, ფსკერის ფსკერი წარმოიდგინეთ და...

თავისი უმწიკვლო ოჯახის „გამოცდილება“ გაგვიზიარა.

ღმერთმა მის შვილს ხელი მოუმართოს, მაგრამ სხვას- ღირსეულს ასე ბინძურად რას ერჩის?...

მე მაინც არ ვიცოდე რა ნაგავიც თავად არის ეს ნაბიჭვარი, რეებს მთხოვდა ან როგორ გაიკეთა კარიერა „იმ“ დროში...

(გვარს არ დავასახელებ, ისედაც მიხვდებით... უხსენებელია, დემაგოგიის კლასიკოსი, „ნამდვილი“ ტელევარსკვლავი!)

ორი დღის წინ, ერთი მინისტრის შვილები ამოიღეს მიზანში. დღეს მორიგი მსხვერპლი — ივანიშვილები, ღარიბაშვილები...

შვილებს თავი დაანებეთ, „კაგებეშნიკობით“ დაფრთიანებულო, თქვე პროფესიონალო არამზადებო!

ყველა ნიკოლოზთან, ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად, ნიკა ღარიბაშვილს გაუმარჯოს!

წარმატებით და თავაწეულმა იარე შვილო, შენს თანატოლ თანამემამულეებთან ერთად!

გეცხოვროთ ბედნიერ საქართველოში?

ნანუკა არველაძე:

ძალიან ვიამაყე, როცა ნანუკა თამაზაშვილის პოსტი ვნახე!

— გამიხარდა, რომ კიდევ ერთი საამაყო ქართველი თავისი შესაძლებლობებით ქვეყანას საზღვრებს გარეთ ასახელებს!!!

ჩააბარა გამოცდა, უმაღლესი ქულები დაიმსახურა, მოიპოვა დაფინანსება და ეს შეძლო საკუთარი გონიერებით!!!

ნიკოლოზ ღარიბაშვილი აშშ-ში, პენსილვანიის Wharton Scool-ში ისწავლის და ეს შესანიშნავია!...

* * *

რომ არა ღვარძლიანი და ბოროტი გამოხმაურება გაპარტახებული ოპოზიციური ფლანგიდან - რა პასუხი შეიძლება გაგცეთ ადამიანმა, საკუთარ შვილებზე ილოცეთ და უფალს პატიება სთხოვეთ სხვისი შვილების დაკნინებისთვის!!!

* * *

პი ნიკოლოზ ღარიბაშვილს კი, პირველ რიგში ნიკოლოზობას მივულოცავ! დაიფაროს და გააძლიეროს სასწაულმოქმედი წმინდანის ძალამ და მადლმა!

საუკეთესოს გისურვებთ, იყავი დღეგრძელი და ჯანმრთელი, იყავი თავისუფალი, ლაღი და ბედნიერი, ჩვენს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს კი, ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ!..

Dear Nikoloz,

Congratulations! You are invited to join the Class of 2027 at the University of Pennsylvania for study in the Wharton School.

It is time to celebrate! Extending this invitation to you means many things. It means high fiving with the Quaker mascot and throwing toast onto Franklin Field. It means a late-night trip for a Philly cheesesteak (or vegan seitan steak). It means learning with our extraordinary faculty members as you discover your next great pursuit, favorite book, or fresh idea. It means there are people here—who you haven't even met yet—who are waiting to cheer you on, lift you up, and help you grow.

The admissions team reviewed thousands of applications and we searched for students who showed us academic commitment, curiosity, and care for others. We chose you because we saw those characteristics throughout your application, and we believe that you will use your talents to bring challenge, growth, and kindness to this community. We also believe that the Penn community will do the same for you.

Benjamin Franklin, our founder, was a *creator*. His relentless curiosity and his willingness to persist through setbacks fueled his creation of many inventions that still exist in our 21st century lives—including the lightning rod, bifocals, and

ნეოლიბერალური „წესრიგი“ და ქართველი „ქალიგულა“

ტიპმა — **იმიტომ ჩამოვედი, რომ არეულობა მომეწყო და ხელისუფლება დამემხო და რა მოხდა მერეო? რა დიდი ამბავი ესაა, მსგავსი სად არ ყოფილაო...** ხომ ხედავთ, არაფერი გამომივიდა და ასეთი რა დაგემართათ, რა სამართალი და სამართლიანობა აგიტყდათ, ერთი კაცის თავისუფლებაზე ყველა რომ გაგიჟდით და გადაირიეთო? მე რომ კანონის უზენაესობისთვის მესმინა და სახელმწიფო ინტერესზე მეფიქრა, ასეთი დიდი ავტორიტეტი და **მთელი ევროპა-ამერიკის ხელისგულზე სატარებელი კი არ ვიქნებოდიო...**

„საქართველოს ევროპელმა მეგობრებმა“ — ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გაუშვათ! **მართლა და მართლა, ხომ არ გადაუტრიალებია, არა?.. რა მოხდა ერთი მცდელობაო.** ძალოსნობის დიდ ტურნირებზე სპორტსმენებს თითო ბარიერის გადალახვაზე სამ-სამი ცდა ეძლევათ და ეს პოლიტიკაც ხომ ერთგვარი დიდი ტურნირია, კუნთების თამაშით. **თუ მაგრები ხართ, გაუშვით და მეორე და მესამე მცდელობებსაც თუ გაუძლებთ, იქნებ თავი დაგანებოთ ამ ჩვენი ცოდვით სავსემაც და ჩვენცო,** თორე—ე... **„დემოკრატიის უკუსვლის“ ავტორების** იარლიყს არ მოგაცილებთო...

დედამ — **ეს ქვეყანა მისი აშენებულია და რასაც უნდა იმას იზამს...** ხან გამოუვა და ხან არა... აბა როგორ გინდათო...

შვილმა — დედას გეფიცებით, თვითონ არ უნდოდა, **სხვებმა ჩამოიყვანეს, შეცდომაში შეიყვანეს, ამბოხისთვის ყველაფერი მზად არისო და ისიც მისი გულუბრყვილო ხასიათის გამო ენდოო.** დედას ტყუილზე ხომ არ დავიფიცებო. ჩემ გულწრფელობაში ვინმეს ეჭვი რომ არ შეეპაროს და სოფო, ლიზა და კიდევ ვიღაც-ვიღაცებზე გადატანა რომ არ იფიქროთ, დავაზუსტებ, სანდრა-დედიკოს გეფიცებითო... **რაც შეეხება წარსულის მძიმე დანაშაულებს და სინანულის არარსებობას,** მაშინ პატარა ვიყავი და ამის შესახებ არაფერს მიყვებოდნენ და საიდან უნდა ვიცოდეო... თანაც, ეს „სინანულის არარსებობა“, მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, ჩვენს მოთხოვნებთან რა კავშირშიაო...

ბიძამ და ძმებმა ვინც ცრუ ინფორმაცია მიაწოდა, დროზე გაანძრიოს ერთი ადგილი, თორემ არ დავინდობთ და **მათ სახელებს ყველა „უბორნიის“ კედელზე მივაწერთო...**

ხატიამ, სალომემ, ლიაკამ, თაკომ, ეკამ, თინამ, ნონამ, ნანუკამ, ინგამ, ანამ, თეონამ (კინაღამ ხუხაც მივათვალე) და სხვა „სულიერმა დებმა“ (მეგი ძაან დამაკლდა) — საავადმყოფოს კადრების ნახვაზე, გულში ერთი კი გაიფიქრეს, **„ეს არის მთავარსარდალი და ოცნების მამაკაციო?“,** მაგრამ არაფორმალური თავმჯდომარის, დეიდა კელისა და სხვა დამკვეთ-დონორთა დასანახად წყევლა-კრულვით აიკლეს საახალწლოდ გაჩახჩახებული რუსთაველი (რა ქნან, მათაც ჰყავთ ოჯახები) — ხომ ვამბობდით, „მსოფლიო შუქურას“ ხალხს უმალავენო. **აი, ნახეთ, წამებით და მოწამვლებით პუტინმა სულ ბანძ ჩმორს დაამსგავსა ეს ჩვენი ნაპოლეონი, ბისმარკი, ჰერაკლე და ზოგიერთის ჯინაზე, კალიგულაზე არანაკლები კალიგულა სამას მეექვსე პალატიდანო...** მინდოდა, სიტყვა ჩამეგდო — არასწორად გაგიგიათ, კალიგულა ის იყო, რომში რომ გრიალებდა. ჩვენი, როგორც უზნეობის მწვერვალზე მდგარი იმ „იდეური წინაპრის“ კარიკატურა, ქართულ ქალაქურ ფოლკლორში ორმაგი შინაარსის მატარებელ **„ქალიგულად“** მოიხსენიება-მეთქი, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე...

ბაიდენმა —ახლა თქვენთვის არა მცალია, **მარადიული ღირებულებების ნგრევის გზაზე ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგი, რევოლუციურ კანონს მოვაწერე ხელი** და მომეცით საშუალება, ცოტა ხნით დავტკბე წინა თაობების მიერ ცოდვილის კლიშეებისთვის განწირული ერთნაირსქესიანი წყვილების ბედნიერებითო — „მშობელი 1+მშობელი 2 = ოჯახს“... და საერთოდ... ამ თქვენი სააკაშვილის არაფერი ვიცი. **ჯიმის, ჯინის, ვიქტორიას, კურტისა და კელის საკურატორია** (იმ მეორე კელის, იანს, ვერ შევაგნებინე, რომ უკვე პენსიაშია გაშვებული. აუჩემებია — მიშა, მიშა,..). ამ სპეცსამსახურების ჩახლართულ გეგმებს რას გაუგებ კაცი(?). მეგობრებო, თუ ოდნავ გიყვარვართ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ, პოლიტიკაზე ფიქრი ჩემი საქმე არ არის, **ჩემი საქმეა ტრიბუნამდე ისე მივიდე განცხადებების წასაკითხად, რომ გზაზე მარცხი არაფერი მომივიდეს და უკანაც როგორმე მშვიდობით დავბრუნდე,** ხომ იცით, მარცხი ელანძეაო... **მერე გაიფიქრა — სულ დამავიწყდა, სიტყვა „მშვიდობა“ არ უნდა მეხმარაო...**

ეჰ... ჩემო კარგო ქვეყანა, ნეტა თავზე არ დაგვექცეოდეს ეს ნეოლიბერალური არქიტექტურით მშენებარე ბაბილონის გოდოლი...

ჭირი იქა, ლხინი აქა!..

ბიძინა დვალი,
15.12.2022 წ.

◎ კოლექტიური ხოშტარიები...

ამირან სალუქვაძე:

ლობიზმის ასეთი ფორმა თაღლითობა და ყალთაბანდობაა!

გემახსოვრებათ, ამას წინათ დავწერე, როგორ შეუჭამეს ბიძინა ივანიშვილს სკოლების შესაკეთებლად გამოყოფილი 80 მილიონი. ახლა მორიგ აფიორას წავაწყდი ე.წ. პრომეთეს მღვიმის პროექტზე.

მაგრამ მანამდე რა არის სასაცილო. თურმე სააკაშვილმა ყუმისთავის მღვიმე წინასაარჩევნო კამპანიისას აღმოაჩინა და მედიას ახალ ტურისტულ შესაძლებლობებზე ესაუბრა.

ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ სააკაშვილს არასტაბილური ფსიქიკური მდგომარეობა სულ ჰქონდა. მისი თქმით, ახლა, როდესაც ის ხიფათის ქრონიკულ ადგილას ჩასვეს, სულ ქრონიკული უკმაყოფილების განცდა ექნება. ასეთი ნერვული სისტემის მქონე ადამიანიდან, როგორიც სააკაშვილია, არაა გამორიცხული ისეთი სურათის მიღება, რომელიც ავადმყოფობას წაგავდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის კვდება. როგორც საყვარელიძე ამბობს, სააკაშვილი ახლა ავადმყოფის როლს თამაშობს.

— ბატონო რამაზ, მარიამ ჯიშკარიანის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს ძალიან მძიმე დიაგნოზები აქვს, რაც გათავისუფლების საფუძველს იძლევა. გასაგებია, რა სურათის შექმნასაც ცდილობენ სააკაშვილის გარშემო — ის არის პატიმარი, რომლის მდგომარეობა რეალურად მძიმეა, რაც გამოიწვია ხელისუფლების არაადეკვატურმა მიდგომამ. თუმცა, ეს პატიმარი, როგორც ჩანს, ვაჭრობს საკუთარი ჯანმრთელობით, ვინაიდან ფაქტია, რომ მისთვის პატიმრობა ძალიან მძიმე რეალობაა.

რამაზ საყვარელიძე:

მიშა ასეთია: თუ გადაწყვიტა, რომ ავადმყოფია, მისი სხეული ამას შეუსრულებს, ფეხებიც ნაერთმევა და ბევრი რამეც!

— ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, სააკაშვილისთვის ეს მძიმე სიტუაცია არის, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი სცენარი პოლიტიკურად მომგებიანია. ამ დღეებში დიალოგში შესვლა მომიწია ერთ-ერთ ადამიანთან, რომელიც აშკარად ემხრობა იმ სცენარს, რომ მიშას უნდა მიეცეს თავისუფლება. საკმაოდ საინტერესო ანალიტიკოსია, ეს არ იყო ფანატიკოსის პოზიცია, მაგრამ ამბობს ასეთ რამეს: „სააკაშვილს რომ რამე მოუვიდეს, ამ ხელისუფლებისთვის საშინელება იქნება. ევროპაში მიგვიღებენ კი არა, საერთოდ ჩაგვთვლიან ველურ ქვეყნად“.

— ფორმულა გასაგებია, მაგრამ ასე ფიქრობს დღეს დასავლეთი, რომ სააკაშვილის თავისუფლებაზე გადის საქართველოს ევროპული მომავალი?

— ეს ფორმულა რომ შემოატრიალოთ და თუკი ასეთი წარმოდგენა არსებობს იგივე ევროპაში, როგორც მიშას მომხრეებში, რომ თუკი მას გაურთულდება მდგომარეობა, ველურ ქვეყნად ჩაგვთვლიან და ევროპული პრესპექტივა გადაიხაზება, ამ იდეის მუსირება თავისთავად უკვე პოლიტიკურ ელფერს შესძენს პროცესს, იმიტომ, რომ თუკი ევროპაში არ მიგვიღეს, ე.ი. არ მიგვიღეს მიშას გამო და არა 12 პუნქტის შეუსრულებლობის გამო.

— თავისთავად საინტერესოა ისიც, რომ ევროპარლამენტს დიდი ხანია არ უსსენებია 12-პუნქტიანი გეგმა...

— დააკვირდით, ასევე რამდენი ხანია, არ უსსენებიათ ვადამდელი არჩევნები, ვინაიდან კონცეფცია, ანუ სისტემა არ აქვთ აწყობილი, ვგულისხმობ ნაბიჯების გეგმას — რომელი ნაბიჯის შემდეგ, რომელი გადაიდგას. უცბად, რა იდეა გაჩნდება იმ განწყობილებას მიყვებიან და ქარივით მიჰყავს მთელი ეს ჯგუფი. ხომ გვახსოვს, როგორი მძაფრი დაცვა იყო ვადამდელი არჩევნების აუცილებლობის, თუ არადა ქვეყანა იღუპებაო. ეს იდეა ჩაქრა და ახლა მიშას თემაზე არის იგივე განწყობილება.

შეიძლება ეს ადვილი ახსნაა, რასაც მე ვამბობ, კონცეფცია სისტემური არაა და განწყობილებით ხელმძღვანელებენ, მაგრამ პოლიტიკაში განწყობილება ძალიან დიდი რამეა, რევოლუციები ხდება განწყობილებით. ამ შეთხვევაში, განწყობილება საკმაოდ სერიოზული ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკისთვის. ნელ-ნელა უფრო და უფრო მეტი კრიტიკოსი ჩნდება უცხოეთში ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.

— რამდენად გავლენიანი არიან ეს კრიტიკოსები?

— ჯერჯერობით არ არიან, მაგრამ რა მოხდა, მაგალითად, ევროპარლამენტში? — მიიღეს კრიტიკული რეზოლუცია, მაგრამ იმდენად კრიტიკული იყო, რომ რეზოლუციის ავტორმა თქვა უარი ხელმოწერაზე. როგორ მოხდა ისე, რომ ავტორს აღარ დაეკითხნენ და ისე განვითარდა პროცესი? აქ უკვე იწყებს მუშაობას რაოდენობის ფაქტორი, ანუ ავტორიტეტები შეიძლება არ არიან, მაგრამ ბევრი ადამიანი რომ ამბობს, ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქია, უკვე წინააღმდეგობის უნარი სხვებს ნაკლებად აქვთ, მით უმეტეს, რომ ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ აინტერესებთ, მაგრამ ტალღას აყვებიან. ქუჩაში რომ 10 კაცი გარბის, მათ სირბილით გაყვება 100 და ასე აგორდება გუნდა. ანალოგიური ტიპის მოვლენა არის პოლიტიკაში. წონიანები არ არიან, მაგრამ თუ ბევრი იქნებიან, მათი პოზიცია იქნება უფრო ეფექტური. მათ პოზიციას უფრო მეტი გაიზიარებს.

— დღეს, ჩვენ ვხედავთ ორ მიმართულებას — ბრძოლა საქართველოს შიგნით და ბრძოლა ქვეყნის გარეთ უკვე ლობისტების დახმარებით. მთავარი გზავნილია ის, რომ ქვეყნის მესამე პრეზიდენტს სახელმწიფო მიზანმიმართულად კლავს და, რომ სააკაშვილი კვდება. ფორმულამ, რომელზეც აგებულია პიარ-სვლა, რამდენად შესაძლებელია, რომ ხელისუფლება აიძულოს, რომ სააკაშვილი გაყვანილი იქნეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

— აშკარად იკვეთება ეს ტენდენცია. არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება მოხდეს ის, რასაც ამ სცენარის ავტორები არ გულისხმობდნენ. კერძოდ, არაა გამორიცხული, რომ ქუჩაში გამოვიდეს უკვე ის ხალხი, ვისთვისაც დაუშვებელია ასეთი პოლიტიკური მანევრით მიშას განთავისუფლება — არა იურიდიულით და არა კანონით, არამედ აი, ასეთი სიმულაციით და პოლიტიკური ზეწოლით. ისედაც გაღიზიანებული იყო საზოგადოება წინა გათავისუფლებებზე, რომელსაც პოლიტიკური შედეგი საქართველოსთვის არ მოჰყვა.

ზეწოლა რომ გაიზარდოს ხელისუფლებაზე, არ გამოვრიცხავ, რომ საპასუხო ზეწოლაც გაჩნდეს საპროტესტო აქციების მხრივ და „ნაციონალური მოძრაობა“ მიშას დასაცავად ხალხს თუ ვერ კრიბავდა, აი, მიშას წინააღმდეგ შეიძლება ძალიან ბევრი ადამიანის შეკრება მოხდეს. საზოგადოებაში არის ის განწყობა, რომ თუ საქმე საქმეზე მივა, მერე გვერდზე გადადებენ ხელისუფლებას და დაანახებენ მიშას აქაურ და უცხოელ დამცველებს, როგორია ხალხის პოზიცია, მით უმეტეს, რომ ლეგენდაც იქნება უცხოელებისთვის, რომ აქ მთელი ხალხი იბრძვის მიშას განთავისუფლებისთვის. ეს მთლად ტყუილიც არაა, მათი დიდი ნაწილი, ვინც მიშას მომხრე არაა, დღეს იძახიან, რომ ცოდვაა, გაუშვითო, ან — გადაგვჭამა თავი და გაუშვითო - სხვადასხვა მოტივია, მაგრამ „გაუშვი“ ფიგურირებს. ასე რომ, საზოგადოებაში არის ტენდენცია, დაასრულონ ეს პროცესი ისე, როგორც არის ჩაფიქრებული სააკაშვილისა და მისი ლობისტების მიერ.

— კადრები, რომელიც ვნახეთ, ეს ასახავს სააკაშვილის რეალურ მდგომარეობას? როგორც ფსიქოლოგს, შეგიძლიათ თქვათ, რომ აქ არის ფსიქიატრიული პრობლემები? ამ კითხვას ვსვამ იმიტომ, რომ დასავლეთიდან მოწვეული თითქმის ყველა ექიმი ფსიქიატრი იყო და მსჯავრდებულ სააკაშვილს მხოლოდ ლაბორატორიული ფსიქიატრიული კვლევა ჩაუტარდა...

— მე, ფსიქოლოგი ვარ და ჩემი პროფესია მკარნახობს, რომ ადამიანი ფსიქიკიდან გამომდინარე შეიძლება ძალიან მძიმე ავადმყოფი იყოს. ის, რომ საწყისი მიზეზი ფსიქიკაშია, ეს შედეგს უფრო მსუბუქს არ ხდის. ადამიანი შეიძლება მოკვდეს, ამას ფსიქოგენური სიკვდილი ჰქვია. იმედი მაქვს, რომ სააკაშვილთან ასეთი სერიოზული ფსიქოლოგიური მექანიზმები არ ამუშავდება. თორემ ნებისმიერმა რამემ შეიძლება გაართულოს მარტო ფსიქიკა.

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა ახლა ეს მდგომარეობა სააკაშვილს? — სააკაშვილს სულ ჰქონდა ასეთი არასტაბილური ფსიქიკური მდგომარეობა. თუ გახსოვთ, უცხოელი პოლიტიკოსებიც იძახდნენ, რომ სააკაშვილი არასტაბილური ფსიქიკის ადამიანი არისო. მათთვის არასტაბილური ფსიქიკა თითქოს უბრალოდ ხასიათის აღმნიშვნელია, მაგრამ ჩვენ რაც ვნახეთ — მანქანის ქვეშ შევარდნა, ჰალსტუხის ჭამა და ა.შ. ეს ნორმალური გამოვლინებების ფარგლებს სცილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პიკშია მისი ემოციური მდგომარეობა, შეიძლება არც იცოდეს, თავის თავს ვერ აკონტროლებდეს და ისეთი რამეები ქნას, რაზედაც მისი პიროვნება არც იყოს თანახმა. მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება ისტერიული ხასიათი რადგან აქვს, ნებისმიერი როლი, რომელსაც ის აიღებს, შეიძლება „გაითამაშოს“ ბოლომდე.

— როგორ ფიქრობთ, ახლა რა როლს თამაშობს სააკაშვილი?

— ახლა მას აღებული აქვს ავადმყოფის როლი და ითამაშებს ამ როლს. პატარა ბავშვებს ახასიათებთ — იტყვიან, რომ სკოლაში არ უნდათ წასვლა და მოტივად ამბობენ, რომ ავად არიან. მერე მართლა აუწევთ სიცხე, მერე უკვე დაუწევთ. ანუ, მათი სხეული მათივე სიტყვას ემორჩილება. მიშაც ზუსტად ასეთია, მან თუ გადაწყვიტა, რომ ავადმყოფია, მისი სხეული ამას შეუსრულებს, ფეხებიც წაერთმევა და ბევრი რამე.

— კადრებში ჩანს, რომ ვერ დადის და საყრდენს იშველიებს...

— მე ვერ ვიტყოდი, რომ საყრდენით ისე დადის, თითქოს ფეხები აქვს წართმეული, არა, სრულაც არ აქვს წართმეული. სეირნობ-სეირნობით მიაქვს ეს საყრდენი, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამდენ თამაშ-თამაშში შეიძლება სერიოზული სურათი შეიქმნას.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ამ დროს ასოციაცია „ატუს“ მღვიმის რებილიტაცია უკვე 2009 წელს ჰქონდა დაწყებული, ოღონდ ჩუმად, ხმაურის გარეშე, როგორც სხვა პროექტები.

ბიძინა ივანიშვილს ეს პროექტი 3,4 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა.

2011 წელს სააკაშვილმა მღვიმე საზეიმოდ გახსნა. დააკვირდით, 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდია და სააკაშვილი ივანიშვილის მიერ რესტავრირებულ ყუმისთავის მღვიმეს ხსნის და მოსახლეობას თავს აწონებს, ტურიზმით აყვავებას ჰპირდება.

სააკაშვილის ინიციატივით ყუმისთავის მღვიმეს პრომეთეს მღვიმე ეწოდა. რატომ, არ ვიცი.

2012 წლის იანვარში ბიძინა ივანიშვილმა მღვიმე სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა. არც ეს გაუგია ამომრჩეველს არჩევნებიდან 10 თვით ადრე და ხელისუფლებას, უფრო სწორად, სააკაშვილს მიეწერა.

მთავრობამ ტურისტული ობიექტი სამართავად დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოს გადასცა.

შემდეგ იწყება აფიორა!.. სააგენტომ მოისურვა ახალი განათების სისტემის დამონტაჟება, რისთვისაც ბიუჯეტიდან 700 ათას ლარამდე გამოიყო.

საქმე იმაშია, რომ მღვიმეში „ატუმ“ გერმანული კომპანიის „გერმტეკის“ ცივი განათება სპეციალურად ამ მღვიმისთვის შექმნა და დაამონტაჟა. ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ ეკოსისტემა მინიმალურად დაზიანებულიყო. წინასწარ სამეცნიერო კვლევები ჩატარდა.

იხ. 8 გვ.

გავაზაფხულოთ „დემოგრაფიული ზამთარი“!

გვინდა კი ქართველობის გადარჩენა?

გვინდა თუ არა (ანუ ნებსით თუ უნებლიეთ), ჩვენი ცნობიერების წარმმართველნი მაინც ჩვენი ცენტრალური ტელევიზიები, პროსახელისუფლებო თუ ანტისახელისუფლებო არხები არიან. **მერე და საით მიჰყავთ ჩვენი მოქალაქეობრივი (ანუ ცხოვრებისეული) ცნობიერება ჩვენს ტელევიზიებს?** რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ჩვენი ხალხი და ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს. თურმე მთავარი ყოფილა, 200-ზე მეტი პარტიიდან არჩევნებში რომელი გაიმარჯვებს! გამოიკვეთნენ ლიდერები და მათ შორის გამუდმებული ბრძოლაა. არჩევნები დამთავრდება თუ არა, მომავალი, 4 წლის შემდგომდროინდელი არჩევნებისთვის ემზადებიან პარტიული კლანები! არჩევნების 90 პროცენტი ხომ გაყალბების მარათონით მიმდინარეობდა! პარტიების პროგრამები სავსეა უკეთესი ცხოვრების დაპირებებით, რომლებიც, როგორც წესი, არ (და ვერ) სრულდება.

შარშან ტელევიზიებმა ყურები გამოგვიჭედეს შარლ მიშელის დირექტივების შესრულება-არშესრულების ძახილით, წელს კი – ევროკავშირის (ევროპარლამენტის) მიერ ჩვენთვის დაწესებული 12-პუნქტიანი დავალების შესრულება-არშესრულებით. ანტისახელისუფლებო ტელევიზიები კვლავ სიძულვილის ნიაღვარს აფრქვევენ ეკრანებიდან. „ომის პარტიას“ (ნაცმოძრაობას) კვლავ საქართველოს ჩართვა სურს რუსეთ-უკრაინის ომში. **კიდევ კარგი, პრემიერი ღარიბაშვილი „მტკიცედ დგას“ და მშვიდობას ინარჩუნებს ქვეყანაში.** სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ხომ ტელევიზიების **მუდმივი თემაა.**

ამასობაში ქართველობას (საქართველოს ხელისუფლებას) გვერდზე გვრჩება უმთავრესზე უმთავრესი პრობლემა – ქართველების გამრავლება-გადარჩენა!

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული ზამთარი, დემოგრაფიული კატასტროფაა!

ამ ერთი თვის წინ ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო არხზე ვნახე მშვენიერი რეკლამა „დემოგრაფიული ზამთრის“ „დასამხობად“: გამოიყვანეს 10-მდე ულამაზესი ქართველი დედა, რომლებმაც თავი გაგვაცნეს მრავალშვილიან დედებად და ამაყობდნენ ულამაზესი პატარებით. დიდი ხანია, ასე ძალიან არაფერი გამხარებია! მადლობა ამ „რეკლამის“ (კლიპის) შემქმნელებს! მე თუ მკითხავთ, **ეს რეკლამა ყველა სატელევიზიო არხს უნდა ეჩვენებინა! და ეს „რეკლამა“ ეკრანებზე მუდმივად უნდა ტრიალებდეს.** მთავრობას უნდა ჰქონდეს იმის უფლება (მაშ, რისი მთავრობაა!), რომ ყველა არხს მოსთხოვოს, ასეთი პროპაგანდიასტული რეკლამები აჩვენონ! მრავალშვილიანი ოჯახების სურათები გამოიკრას ყველგან, უნდა ხდებოდეს მათთან შეხვედრები და ა.შ.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის რედაქტორმა ბატონმა **ვალერიან ლომიძემ** „ბორჯომში“ გამოქვეყნებულ შესანიშნავ წერილში განგაშის ზარები დაარისხა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი კატასტროფის გამო. მოყვანილია მრავალი საგანგაშო სტატისტიკური მონაცემი, მაგალითად, თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში 454 ათასი გოგონა დაიბადა, 2003 წელს მხოლოდ 226 ათასი, 2020 წელს კი მხოლოდ 46520(!) ახალშობილი დაიბადა. 2020 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, გადააჭარბა ახალშობილთა რაოდენობას. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში სამცხე-ჯავახეთში დაიბადა 682 ბავშვი, ხოლო გარდაიცვალა 1104 ადამიანი, ბორჯომში ამავე პერიოდში 116 დაიბადა, გარდაიცვალა 226(!), ესე იგი, თითქმის ორჯერ მეტი. ასევეა სრულიად საქართველოში.

ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი **ანზორ თოთაძე** ამბობს, რომ 10 წელზე მეტია განგაშის ზარებს არისხებს ქართველთა დემოგრაფიულ კატასტროფაზე, მაგრამ „ყურს არავინ იბერტყავს“...

ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში პერიოდული „ამონაკვნესები“დემოგრაფიულ კატასროფაზე ნამდვილად არ კმარა! გაერომ 2050 წლისთვის ქართველობა რომ მომაკვდავ ერად გამოაცხადა, ამან ძალიან შემძრა და მეც დავწერე ლექსი **„ვედრება უფლისადმი“**. ეს ლექსი ჯერ გაზეთ **„ბორჯომში“**, შემდეგ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** დაიბეჭდა უჩა გოგოლაურის ფსევდონიმით. (24 სექტემბერი 2021 წ.). ამ ლექსის გამო მრავალი პატრიოტი ადამიანი (ძირითადად და, სამწუხაროდ, მხოლოდ ხანდაზნულები) ტელეფონით გამომეხმაურა, მაგრამ რა? საქართველოში ეს გაზეთი და ჩემი ლექსი წაიკითხა ალბათ რამდენიმე ათასმა ადამიანმა. ეს საკმარისია? მერე ყველაფერი ჩაქრა და ჩაჩუმდა. იქ ვწერდი: **„განგაშის დავარისხოთ დედო ზარი: „არიქა, ქართველებო, ვიღუპებით!“ რომ: „კარს სხვა მოგვხდომია თემურ-ლენგი, სასწორზე დადებულა ქართველთ ბედი“ და ა.შ. განა მართლა ასე არ არის?! მაგრამ როგორ მივაწვდინოთ ეს ხმა ყველა ქართველის გულამდე და ყურამდე? და აქ პროპაგანდისტულმა საშუალებებმა, პირველ რიგში ტელევიზიებმა, უნდა დაარისხონ განგაშის ზარები! თანაც – სისტემატიურად, თითქმის გამუდმებით!**

ბატონი ვალერიანი თავის წერილში, როგორც თვითონ ამბობს, ერთ დამაიმედებელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს: ბორჯომის მერს ბატონ **ოთარ არბოლიშვილს** უთქვამს მისთვის: მომავალი წლიდან ყოველ ახალშობილზე დედებს 1000 ლარით დავასაჩუქრებთო! ეს კარგია, მაგრამ **ეს მხოლოდ ერთი და პირველი ნაბიჯია!** საჭიროა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები. მაგალითად, სოფლებში რწმუნებულებმა აღრიცხონ რამდენი ახალგაზრდაა დასაოჯახებელი, თითოეულს გამოკითხონ დაუოჯახებლობის მიზეზები. ასევე აღირიცხოს დაბებში და ქალაქებში, შეიქმნას „გაცნობის კლუბები“ (და არა „ღამის კლუბები“). ადრე გაზეთებში ქვეყნდებოდა განცხადებები, რომ „ვეძებ საქმროს“, „ვეძებ საცოლეს“ და ა.შ. რატომ აღარ ქვეყნდება?? ამაზე სატელევიზიო გადაცემებიც იყო. უნდა აღდგეს ასეთი გადაცემები! ამაზე კარგ საქმეს რას გავაკეთებთ?

ჩვენს ზემოდასახელებულ ლექსს კომენტარიც დავურთე. იქ ვწერდი: ჩეჩნებმა დაიფიცეს, ყველა ოჯახს ყოლოდა მრავალი შვილი და ეს ფიცი შეასრულეს(!) ქართველ ახალგაზრდობას და ახალდაოჯახებულებს მოვუწოდებდი: „ფიცი და რწმენა ცხოვრებაში უმთავრესია. ახალგაზრდა მეუღლეებმა ერთმანეთს და ღმერთს უნდა შეჰფიცონ, რომ მრავალ შვილს იყოლიებენ. მთავრობამაც სოციალური დახმარება 2-3-ჯერ გაუზარდოს და ამ საქმეში ჩართოს ჩვენთან მომრავლებული მილიონერები!“...

სულ ახლახან გამაოგნებელი ინფორმაცია მოვისმინე ტელეეთერიდან: ომის 9 თვის განმავლობაში უკრაინაში შეიქმნა 200 ათასი ოჯახი!(!). ჩვენ რა გვჭირს, ქართველებს??

„თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“. გადავარჩინოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი ჯიში, ჩვენი მოდგმა, ქართული ენა, ჩვენი ტრადიციები! ბოლოს და ბოლოს, გადავარჩინოთ ჩვენი საქართველო!

ჩემი ლექსიდან განსაკუთრებით ეს სტროფი მოეწონა მკითხველს:

„უფალო, გადმოგვაფარე
შენი კალთა,
მოგვფინე მზის სხივები
საალერსო,
სანამ იარსებებს მოდგმა კაცთა,
ჩემი ქართველობაც აარსებე!

უშანგი ჯანგირაშვილი,
ქ. ბორჯომი.

P. S. უნდა აღდგეს და განვითარდეს მაჭანკლობის ინსტიტუტი. რამდენი გასათხოვარი გოგონა და უცოლო ბიჭი ელოდება ვინმე „უჩინარ დამხმარეს“! და ეს არის – მაჭანკალი!.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებს, მკითხველებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს! ვისურვებდი: თავაუღებლად ვიფიქროთ და ვიზრუნოთ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ უმთავრესზე: ქართველთა მოდგმის შენარჩუნება-გამრავლებაზე!

ნარკორეალიზატორთა ფეხქვეშ მიწა მართლაც უნდა იწვოდეს!

8 კილოგრამი „ჰეროინი“,
8 500 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“,
16 კილოგრამი „კოკაინი“,
6 კილოგრამი „მდმა“,
5 კილოგრამი „ალფა პვპ“,
4,5 კილოგრამი „კლეფედრონი“
და დაკავებული 46 ნარკობარიგა!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 62 პირი დააკავა, მათ შორის 46 ნარკორეალიზატორია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ნარკორეალიზატორები დაკავებული არიან სხვადასხვა ქალაქში: ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში, გორში, მარნეულსა და რუსთავში, ასევე, თბილისის სხვადასხვა უბანში, მათ შორის ფონიჭალის დასახლებაში.

„დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების და გასაღების მცდელობის, ასევე, ამ დანაშაულის მომზადების ბრალდებით დაკავებული არიან: იორდანიის მოქალაქეები - 1974 წელს დაბადებული ს. ა. და 1983 წელს დაბადებული მ.ი.; ლატვიის მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული გ.გ.; ასევე, საქართველოს მოქალაქეები: 1980 წელს დაბადებული გ.კ., 1977 წელს დაბადებული ს.კ., 1972 წელს დაბადებული ს.მ., 1989 წელს დაბადებული ზ.ბ., 1979 წელს დაბადებული ვ.კ., წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი პირები – 1971 წელს დაბადებული ზ.ი. და 1984 წელს დაბადებული ტ.ი., 1981 წელს დაბადებული მ.უ., სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული ი.ქ., 1979 წელს დაბადებული გ.ქ., 1982 წელს დაბადებული ნ.ც. და ამავე წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჯ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ჯ., 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ., 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ., 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ც., 1994 წელს დაბადებული ს.ზ., 1971 წელს დაბადებული ა.ხ., 1995 წელს დაბადებული ლ.ო., 1976 წელს დაბადებული ლ.გ., 1994 წელს დაბადებული ი.ფ., 1998 წელს დაბადებული ლ.ლ., 1998 წელს დაბადებული მ.გ., 1979 წელს დაბადებული ს.გ, 1976 წელს დაბადებული ქ.გ., 2001 წელს დაბადებული კ.ლ., 1988 წელს დაბადებული მ.გ., 1997 წელს დაბადებული მ.ზ., 2004 წელს დაბადებული ნ.ს., 2003 წელს დაბადებული ს.მ., 2002 წელს დაბადებული ლ.ხ, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.თ., 2003 წელს დაბადებული ნ.გ., 2004 წელს დაბადებული თ.ჭ., 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ., 2002 წელს დაბადებული ა.ლ., 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ს., 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვ.დ., 1990 წელს დაბადებული ა.ბ., 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ჯ., 1974 წელს დაბადებული ხ.კ., 1970 წელს დაბადებული კ.ბ. და 1983 წელს დაბადებული ლ.კ.

იხ. 8 გვ.

შავი ზღვის წყალქვეშა სადენი – საქართველოს უდიდესი წამოწყება

შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო ჩვენი რეგიონისა და ევროპის დაინტერესებულ ქვეყნებში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც. იგი ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროებისგან მიღებული ენერგიის გატარებას ევროპისკენ, რაც საქართველოს წისქვილზე წყლის დასხმაა.

ეკონომიკის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** განცხადებით, შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტის ინიციატივაც და იდეაც საქართველოს ეკუთვნის. სწორედ საქართველომ წარადგინა ეს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში და მანვე დაიწყო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, ისევე როგორც დაიწყო სამუშაოების დაფინანსება.

„შემდგომ ამას შემოუერთდა, რა თქმა უნდა, პარტნიორი ქვეყნები და ცოტა ხნის წინ გაფორმდა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც ოთხი ქვეყანა იქნება ჩართული. თავდაპირველ ეტაპზე ასეთი ინტერესი არ იყო, ასე აქტუალურად დანახული არ იყო პროექტი, თუმცა გეოპოლიტიკურად ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ევროკავშირში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე მიმდინარე წელს. ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ევროკავშირის ლიდერების ენთუზიაზმი ვნახეთ ყველამ.

ეს არის პროექტი, რომელიც არის ურთიერთინტერესის საგანი, როცა ევროკავშირის ორი ქვეყანა არის პროექტის განხორციელებაში ჩართული, განსაკუთრებული სტატუსი ექნება მას ევროკავშირის მხრიდან“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე დაფინანსების საკითხიც, რაზეც ევროკავშირი ამბობს, რომ პრობლემა არ იქნება.

„ითქვა, რომ ამ პროექტის განხორციელებისთვის ფინანსები პრობლემა არ არის, პირიქით, რამდენიმე მილიარდის მობილიზებისთვის თავად ევროკავშირი არის მზად. პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ წარადგინა და წლების განმავლობაში საქართველოში მუშავდებოდა, იყო ერთმნიშვნელოვნად ჩვენი ინიციატივა და საწყის ეტაპზე არც ისე აქტუალურად განიხილებოდა, თუმცა დღეს ნამდვილად ფლაგმანი პროექტია ევროპასთან ურთიერთობის საკითხში. ალბათ, ზედმეტი მოკრძალების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას გაზრდის“, – განაცხადა დავითაშვილმა.

შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს, რომელმაც ერთმანეთთან საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკული სისტემები უნდა დააკავშიროს.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი (1100 კმ – წყალქვეშა, ხოლო 95 კმ სახმელეთო ნაწილი) რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა.

რა შესაძლებლობებს ხსნის შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა სადენის და რა შედეგებს მოუტანს ის საქართველოს?

ენერგეტიკოს **გია არაბიძის** შეფასებით, ამ პროექტით, საქართველო, როგორც ტრანზიტული დერეფანი კასპიის მხრიდან ევროპისკენ, უკვე სხვა რეგისტრში და სხვა სიმაღლეზე ავიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

„ჩვენ უკვე ვხდებით აუცილებელი დერეფანი ევროპისათვის, აქამდე მხოლოდ გაზისა და ნავთობის საშუალებით ვუკავშირდებოდით ევროპას, მაგრამ ეს იყო თურქეთის გავლით, ახლა საქართველო პირდაპირ უკავშირდება ევროპას, აქამდე გვქონდა ჩვენ გაზის და ნავთობის მიწოდების გამოცდილება, მაგრამ ელექტროენერგიის სადენის ჩადება ჩვენ შემთხვევაში პირველია, ეს ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც საინტერესოა. ამ სადენის საშუალებით სხვა რეგისტრში ავა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

საქართველომ დაახლოებით 800 მილიონ კილოვატ საათის ელექტროენერგია გაყიდა წყალუხვობის პერიოდში თურქეთში და მარტო იგივე რაოდენობის ელექტროენერგია რომ გაგვეყიდა ევროპაში, ხომ უფრო მაღალ ფასს ავიღებდით?!“, – განაცხადა არაბიძემ.

როგორც ენერგეტიკოსი აღნიშნავს, 2023 წლის ბოლოს ამ პროექტის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები იქნება და პროექტი ძალიან სწრაფად ამუშავდება, რადგან არსებობს პოლიტიკური ნება და მოძიებულია თანხები.

„პროექტის მთავარი არსი და მნიშვნელობა არის ის, რომ იგი ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროებისგან მიღებული ენერგიის გატარებას ევროპისკენ, რაც ჩვენ, წისქვილზე წყლის მიშვებაა.

რაც შეეხება დაფინანსებას, პირველ ეტაპზე ეს არის 2.3 მილიარდი დოლარი, რომელიც მოიძია ევროკავშირმა. ბუნებრივია, პროექტზე მუშაობის პერიოდში სხვა ინვესტიციებიც იქნება. ჩემი აზრით, დაახლოებით, 3-3,5 მილიარდ დოლარზე მეტი არ უნდა დაჯდეს. მთავარია, ჩვენ სარგებელი მივიღოთ აქედან. ჩვენ ტრანზიტზე დამოკიდებული არ უნდა ვიყოთ და ჩვენი ენერგია უნდა გავიტანოთ, რადგან ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ქარისგან, მზისგან და წყლისგან ენერგია ვაწარმოოთ“, – აღნიშნა „კომერსანტთან“ არაბიძემ.

ამასობაში შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტით ის სახელმწიფოებიც ინტერესდებიან, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან ამ მნიშვნელოვან პროექტს. მაგალითად, საუდის არაბეთმა უკვე გამოთქვა სურვილი, რომ აზერბაიჯანიდან ევროპაში „მწვანე“ ელექტროენერგიის ექსპორტის პროცესს შეუერთდეს. ამის შესახებ საუდის არაბეთის ინვესტიციების მინისტრმა, ორი ქვეყნის ერთობლივი კომისიის თანათავმჯდომარემ **ხალიდ ბინ აბდულ აზიზ ალ-ფალიჰმა**, ბაქოში გამართულ აზერბაიჯანსა და საუდის არაბეთს შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-7 შეხვედრაზე განაცხადა.

„საუდის არაბეთის კომპანია „აკვა ფაურმა“ აზერბაიჯანში 240 მეგავატიან ენერგეტიკულ პროექტს ახორციელებს. თუმცა ეს საკმარისი არ არის. ჩვენ გვსურს, განვახორციელოთ უფრო დიდი ენერგეტიკული პროექტები და შევუერთდეთ აზერბაიჯანის მიერ რამდენიმე დღის წინ ხელმოწერილ შეთანხმებას ევროპაში ელექტროენერგიის ექსპორტის შესახებ“, – განაცხადა საუდის არაბეთის ინვესტიციების მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა სადენის პროექტს 17 დეკემბერს ბუქარესტში საქართველომ, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და უნგრეთმა მოაწერეს ხელი.

ბექა დანელია

ვახტანგ გორგასლის საკოლექციო მონეტები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საკოლექციო მონეტების გამოშვებას „საქართველოს მეფეების“ სერიიდან და ამჯერად 5 ლარის ნომინალის საკოლექციო მონეტებს მეფე ვახტანგ გორგასალს უძღვნის.

მიმდინარე წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო მეფე ვახტანგ გორგასლის თემაზე 5 ლარის ნომინალის მონეტების ეტაპობრივად გაყიდვა. ოქროს მონეტის ფასი 1 380 ლარია და მათი შეძენა საქართველოს ეროვნულ ბანკში შემდეგი პირობებით იქნება შესაძლებელი: 2022 წლის 20 დეკემბრიდან წინასწარ შეკვეთილი ოქროს მონეტების შეძენა შესაძლებელი იქნება საკასო ცენტრში, 3 იანვრიდან კი, წინასწარ შეკვეთილი ოქროს მონეტების შეძენა შესგეძლებათ საქართველოს ეროვნული ბანკის ონლაინ მაღაზიის მეშვეობით, www.moneymuseum.nbg.gov.ge

2023 წლის 16 იანვრიდან დაიწყება ოქროს მონეტების გაყიდვა თავისუფალ რეჟიმში, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ინტერნეტ მაღაზიის საშუალებით – ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში. თავისუფალ რეჟიმში მონეტების გაყიდვის პროცესში მომხმარებელთა დიდი მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, გარკვეული პერიოდით შეზღუდოს ერთ მომხმარებელზე გასაყიდი მონეტის რაოდენობა მათი უფრო მეტი დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობისთვის.

ოქროს მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მეფის გამოსახულება, რომელიც შექმნილია მხატვარ გიორგი გეგეჭკორის ფერწერული ნამუშევრის მიხედვით. მონეტაზე, დატანილია წარწერა „ვახტანგ I გორგასალი“ და მისი მეფობის პერიოდი. მონეტის უკანა ფონზე წარმოდგენილია თბილისი, კერძოდ მეტეხის მიმდებარე ტერიტორიის ილუსტრაცია.

ოქროს მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ფარის გამოსახულება. მუზარადზე გამოსახულია მგლის თავი (როგორც მეფე ვახტანგ გორგასლის სიმბოლური ზედწოდება). მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, „საქართველო“, „2022“, „GEORGIA“, დიზაინერი ელენე გოგორელიანი

მონეტები მოჭრილია ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში.

რუსუდან ქოგულია

მესტია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის გამარჯვებულია!

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის, Best Tourism Villages by UNWTO-ის ერთ-ერთი გამარჯვებული მესტიაა. ინფორმაციას ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

როგორც ტურიზმის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, მესტია შერჩეული იყო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრი 57 ქვეყნის 130-ზე მეტი დანიშნულების ადგილის აპლიკაციას შორის, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

Best Tourism Villages by UNWTO-ის პროექტი წარმოადგენს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, გამარჯვებულის სტატუსი ენიჭება გამორჩეული დანიშნულების ადგილების მქონე ლოკაციებს; მიმართულებას, სადაც სანიმუშოდ ვითარდება სოფლის ტურიზმი, გააჩნია აღიარებული კულტურული და ბუნებრივი რესურსები და ამასთანავე აქტიურად და ეფექტიანად ხდება ადგილობრივი საზოგადოების ძირითად ღირებულებებსა და ცხოვრების წესზე დაფუძნებული ინტერესებისა და საჭიროებების უზრუნველყოფა. Best Tourism Villages by UNWTO-ის ნომინაციაში გამარჯვებულ სოფლებს გააჩნიათ ტურიზმის მდგრადი განვითარების ნათელი ხედვა, რაც მიმართულია ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ.

„გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია პროექტში გამარჯვებულ მიმართულებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, რათა ტურიზმი გახდეს მისი მდგრადი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, როგორც ეკონომიკური და სოციალური, ასევე ეკოლოგიური მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხდება მისი, როგორც სოფლის ტურიზმის განვითარების დონით გამორჩეული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე“, – აცხადებენ ტურიზმის ადმინისტრაციაში.

როგორც ტურიზმის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, პროექტის ფარგლებში, Best Tourism Villages by UNWTO-ის გამარჯვებულ ლოკაციას ასევე ეძლევა შესაძლებლობა, გახდეს სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით წამყვანი დანიშნულების ადგილების გლობალური ქსელის ნაწილი, რაც იძლევა კარგ საშუალებას, მის წევრებს შორის მოხდეს საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.



NATO: მივესალმებით საქართველოს ეკონომიკისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის „ოცნების“ ხელისუფლების ნაბიჯებს!

NATO-ში აცხადებენ, **რომ მიესალმებიან საქართველოს ეკონომიკისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის ხელისუფლების მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს,** — ამის შესახებ „აქცენტს“ ალიანსში განუცხადეს.

როგორც ალიანსში აღნიშნავენ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ენერგეტიკული ბერკეტი სუსტდება.

„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ევროპელები დამოკიდებულნი იყვნენ რუსულ ნავთობსა და გაზზე. რუსეთმა ენერგია იარაღად და ცდილობდა, გამოეყენებინა ის ჩვენი შანტაჟის მიზნით გამოიყენა და ხელი შეეშალა ჩვენთვის, გაგვეწია უკრაინისთვის მხარდაჭერა, თუმცა პრეზიდენტ პუტინს ეს მცდელობა არ გამოუვიდა. მოკავშირეები იღებენ შესანიშნავ ზომებს ენერგიის მოხმარების შესამცირებლად და ენერგიის მიწოდების დივერსიფიკაციისთვის. ევროპაში გაზის საცავები სავსეა. მოკავშირეები დებენ კონტრაქტებს თხევადი ბუნებრივი აირის მიწოდების, ბირთვული რეაქტორების სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების განახლების შესახებ. რუსეთი ამჟამად ევროპას გაზის 10-ზე ნაკლებს აწვდის იმ 45 %-თან შედარებით, რასაც ომამდე აწვდიდა. ეს წარმოადგენს ბუფერს რუსული მიწოდების შემდგომი შეწყვეტის ან სხვა შოკის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ G7 ასევე დათანხმდა, შეზღუდოს რუსული ნავთობის ფასი, რაც კიდევ უფრო შეზღუდავს შემოსავალს, რომელიც აფინანსებს კრემლის ომს და ნატოს ქვეყნები გააგრძელებენ ინვესტიციებს სტაბილურ და საიმედო ენერგომომარაგებაში, მიმწოდებლებში და წყაროებში. ასე რომ, პრეზიდენტ პუტინის ენერგეტიკული ბერკეტი სუსტდება“ NATO-ში, — განუცხადეს „აქცენტში“.

ამასთან, ალიანსი აღნიშნავს, რომ მზად არის, მეტი გააკეთოს საქართველოს მედეგობისა და თავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად:

NATO-ს პარტნიორობა საქართველოსთან მყარია. ნოემბრის ბოლოს ბუქარესტში NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრები დაესწრნენ. ეს სამი ქვეყანა რუსეთის ზეწოლის წინაშე დგას და ნატო მზადაა, მეტი გააკეთოს მათი მედეგობისა და თავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად. საქართველოსთან დაკავშირებით ჩვენ მზად ვართ, გავზარდოთ ჩვენი მხარდაჭერა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ საფუძველზე, მათ შორის სიტუაციური ცნობიერების, უსაფრთხო კომუნიკაციების, მედეგობისა და კიბერ სფეროებში, ასევე დავეხმარებით საქართველოს საკუთარი კიბერ შესაძლებლობების განვითარებაში და საქართველოში NATO-ს სამეკავშირეო ოფისის დამატებითი პერსონალის უზრუნველყოფით.

გერმანელები ჩინეთს სთხოვენ პუტინის შეჩერებას

გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ შტაინმაიერმა ჩინეთის ლიდერს მოუწოდა, ზეგავლენა მოახდინოს რუსეთის პრეზიდენტზე, რომ პუტინმა უკრაინის წინააღმდეგ ომი შეწყვიტოს, — ამის შესახებ ნათქვამია ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისა და სი ძინპინის სატელეფონო საუბრის შემდეგ, გერმანიის პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პრესრელიზში.

„ევროპა არ დაიხევს უკან რუსეთის მუქარის ფონზე და უკვე მიიღო ენერგეტიკული კრიზისის საწინააღმდეგო ზომები. უკრაინის თავდაცვა და ევროპის ერთიანობა რუსეთის აგრესიამ გააძლიერა. ეს პუტინმა ფუნდამენტურად ვერ გათვალა“, — განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა ჩინეთის ლიდერთან საუბრისას.

გერმანიის პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა ჩინეთისა და ევროპის საერთო ინტერესს, რომ ომი შეწყდეს და უკრაინის სუვერენიტეტი დაცული იყოს, ამის მისაღწევად კი რუსული ძალები უკრაინის ტერიტორიიდან უნდა გავიდნენ.

„გერმანიის პრეზიდენტმა სთხოვა სი ძინპინს, გამოიყენოს თავისი გავლენა რუსეთზე, რათა ზემოქმედება მოახდინოს ვლადიმერ პუტინზე“, — ნათქვამია გერმანიის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთში გაზსადენი აფეთქდა

რუსეთში, ყაზანის დასავლეთით გაზსადენზე აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა. ჩუვაშიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით, ხანძარი გაჩნდა გაზსადენზე, რომლითაც ბუნებრივ აირს, უკრაინის ტერიტორიის გავლით, ევროპა იღებს.

რუსული მედიის ცნობით, ინციდენტი ჩებოკსარიდან 50 კილომეტრში მოხდა. გავრცელებული ცნობით, გაზსადენზე გეგმური ტექნიკური სამუშაოების ჩატარების დროს აირმა გაჟონა, რის გამოც მიწისქვეშა მილსადენზე გაჩნდა ხანძარი. მომხდარის გამო გაზსადენით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება შეწყდა.

ნარკორეალიზატორთა ფეხქვეშ მიწა მართლაც უნდა იწვოდეს!

(მეექვსე გვერდიდან) **სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების მრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.**

დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, მათი პირადი, ავტომანქანების, საცხოვრებელი სახლებისა და მინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ჰერროინი“, „კოკაინი“, „ალფა პვპ“, „მეფედრონი“, „ექსტაზი“, „მეტადონი“, „კეტამინი“, „ლირიკა“, „ოპიუმი“ და „მარიხუანა“.

მრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტანის ფაქტებს, პოლიციამ უცხო ქვეყნის 20-მდე მოქალაქე დააკავა.

ნარკოდანაშაულის მრალდებით დაკავებულნი არიან თურქეთის, სერბეთის, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, უკრაინის, ეგვიპტის, ლატვიის, ნიგერიისა და სომხეთის მოქალაქეები.

განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, ასევე, საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანისთვის დაკავებული არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1987 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე მ.თ., 1991 წელს დაბადებული რუსეთის მოქალაქე ნ.ნ, 1989 წელს დაბადებული ლატვიის მოქალაქე რ.კ., 1980 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე რ.ს., ასევე, სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1990 წელს დაბადებული დ.ი. და 2001 წელს დაბადებული მ.მ., 1984 წელს დაბადებული სომხეთის მოქალაქე ჰ.ჰ., 1987 წელს დაბადებული ნიგერიის მოქალაქე დ.ე., აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეები: 1993 წელს დაბადებული ს.ა., 1985 წელს დაბადებული ლ.წ., 1976 წელს დაბადებული მ.კ., 1976 წელს დაბადებული ტ.რ., 1980 წელს დაბადებული დ.დ., 1983 წელს დაბადებული ა.მ., 1962 წელს დაბადებული ზ.ჯ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.გ.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ნარკოდანაშაულთან ეფექტიანი მრძოლა და ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება. 2022 წელს, ქვეყნის მასშტაბით, სულ 204 ნარკორეალიზატორია დაკავებული.

მიმდინარე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზაციის მრალდებით, გასულ წელთან შედარებით, 68-ით მეტი ნარკორეალიზატორი დააკავა.

პოლიციამ ჯამში, მთელი წლის განმავლობაში, უკანონო მრუნვიდან ამოიღო: 8 კილოგრამი „ჰერროინი“, 8 500 აბი „სუგუტექსი“ და „სუგოქსინი“, 16 კილოგრამი „კოკაინი“, 6 კილოგრამი „მდმა“, 5 კილოგრამი „ალფა პვპ“, 4,5 კილოგრამი „კლეფედრონი“ და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება...

ამირან სალუქვაძე:

ლობიზმის ასეთი ფორმა თაღლითობა და ყალთაბანდობაა!

(მეხუთე გვერდიდან) **იმის მიუხედავად, რომ საგარანტიო პერიოდი, მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში, სანათებისთვის 25 წელი, მთლიანი სისტემისთვის კი წელიწადნახევარი იყო, 2012 წლის იანვარში, ანუ საგარანტიო პერიოდში, ყოფილმა ხელისუფლებამ სხვა რამ გადაწყვიტა და განათებაზე 659 000 ლარი დამატებით დახარჯა. ახალი განათების სისტემა კომპანია „გესკოს“ შეუკვეთა.**

როგორც ნეტგაზეთი 2014 წელს წერდა, ახალი სანათები უფრო მეტ სითბოს გამოჰყოფდა, ასევე დარღვეული იყო სანათების უძრაობის პრინციპი, რითაც საგრძნობლად დაზიანდა მღვიმის ეკოსისტემა.

მოკლედ სახეზე გვქონდა:

— სხვისი გაკეთებული საქმის მითვისება წინასაარჩევნო პერიოდში;

— არაკვალიფიციურობა დაცული ტერიტორიების ექსპლოატაციისას;

— ყალთაბანდობა, ანუ უკვე შესრულებულ სამუშაოებზე, ხელახალი დაფინანსების გამოყოფა.

იმ წლებში სააკაშვილმა „ქართუს“, ანუ ბიძინა ივანიშვილის მიერ უხმაურო გამხორციელებული ბევრი პროექტი გახსნა: საკონცერტო დარბაზი, „ციცინათელა“, სკოლები, პატრულის რეფორმა, ჯარის აღჭურვა, სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმების მხარდაჭერა და ხელფასების დაფინანსება და უამრავი სხვა. ალბათ არც ის უნდა გაგიკვირდეთ, რომ რაგბის სტადიონებსაც კი ხსნიდა. მაგალითად. 2010 წლის ნოემბერში გახსნა რაგბის სტადიონი „“შევარდენი“, რომელიც ფონდ „ქართუს“ 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ სტადიონი სახელმწიფოს მხარდაჭერით აშენდა და იქვე დააანონსა კიდევ 12 სარაგბო სტადიონი აშენდებაო, ოღონდ, რა თქმა უნდა, არ უთქვამს, რომ იმ სტადიონების აშენებასაც ბიძინა ივანიშვილი აპირებდა.

აპირებდა და ააშენა კიდეც. ისიც ხომ გახსოვთ, ფეხბურთის სტადიონების აშენებაშიც რომ შესთავაზა დახმარება, 100 მილიონს მოგცემთო, ოღონდ ფინანსებს ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი გააკონტროლებსო. კონტროლი არ მოისურვეს.

ახლა კი კოლექტიური ხოშტარიები და ქვეყნის ფსევდოამყვავებელი სააკაშვილისგან დავალებული „პერესტროიკელი“ კუბილიუსები ბიძინა ივანიშვილს სანქციებით ემუქრებიან. როცა არჩევნების მოგების შნო არა აქვთ, სხვა რა გზა რჩებათ, გარდა პოლიტიკური თაღლითობისა. ლობიზმის ასეთი ფორმა თაღლითობაა.

ჯაბა სამუშია ევროკავშირის მობილობის პროგრამის მონაწილე თსუს პროფესორებს შეხვდა

ჯაბა სამუშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ პროფესორებს და მოწვეულ ლექტორებს შეხვდა, რომლებიც მომავალი წლის გაზაფხულის სემესტრში ერთი კვირის განმავლობაში ევროპულ უნივერსიტეტებში ლექციებს წაიკითხავენ.

თსუს ინფორმაციით, 2022-23 წლის შემოდგომის სემესტრის კონკურსის ფარგლებში, „ერასმუს“ პლუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამით სწავლების მობილობის გრანტი თსუს 60-მდე აკადემიურმა პერსონალმა მოიპოვა შვიდივე ფაკულტეტიდან.

შეხვედრაზე თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ ისაუბრა ევროპულ უნივერსიტეტებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორული კავშირების გაფართოებაზე პროფესორებისა და სტუდენტების მობილობის ფარგლებში. მისი თქმით, მომდევნო წელს თსუელები უფრო მეტი გაცვლითი პროგრამით ისარგებლებენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 წლიდან დღემდე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ 420-ზე მეტ პროექტში მონაწილეობს ევროპის 29 ქვეყნის 150-ზე მეტ უნივერსიტეტთან ერთად.

თსუს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეა გერგედავას თქმით, „პროექტის დაწყებიდან დღემდე განვახორციელეთ 4 ათასამდე მობილობა — ევროპულ უნივერსიტეტებში გავუშვით ჩვენი პროფესორები და სტუდენტები და ევროპული უნივერსიტეტებიდან თსუში მივიღეთ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. ამ პროგრამის ფარგლებში მომავალი წლის მხოლოდ თებერვალში 21 ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტების 70 წარმომადგენელს მივიღებთ თსუში,“ — აღნიშნა თეა გერგედავამ.

ფრანგული „მიმინო“(ები) მალე მოფრინდებიან!

საქართველო H145-ის ტიპის სამ შვეულმფრენს ფრანგული კომპანიისგან 26 500 000 ევროდ შეიძენს!

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფრანგულ კომპანია Airbus Helicopters-თან 3 ახალი შვეულმფრენის შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა.

საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ნიკოლოზ შარაძემ, ხოლო მომწოდებელი კომპანიის მხრიდან — Airbus Helicopters-ის წარმომადგენელმა რომეინ ლანამ მოაწერეს.

უწყების ცნობით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სასაზღვრო პოლიცია H145-ის ტიპის 3 შვეულმფრენს შეიძენს. Airbus-თან რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით, 26 500 000 ევროს შეადგენს.

შსს-ში აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირობის მიხედვით, წლების წინ მაღალი თანამდებობის პირებისთვის შესყიდულ AS332 L1e S/N-ის 2833-ის (სუპერ პუმა) შვეულმფრენს ქართული მხარე Airbus Helicopters-ს გადასცემს. აღნიშნული ბორტის პრივატიზებით ახალი შვეულმფრენების შესყიდვისთვის სახელმწიფოს გასაწევი ხარჯი 5 500 000 ევროს ოდენობით დაიზოგება.

შსს განმარტავს, რომ H145 მრავალფუნქციური შვეულმფრენია, რომელსაც შეუძლია, შეასრულოს პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციები. ახალი შვეულმფრენები სრულად იქნება დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. მათ გააჩნიათ 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას. ამ ტიპის შვეულმფრენი მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადი იქნება.

შსს აღნიშნავს, რომ H145 წარმოადგენს Airbus-ის ერთ-ერთ უახლეს მოდელს, რომელსაც გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები წარმატებით იყენებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ქართულ მხარეს პირველი შვეულმფრენი კონტრაქტის ხელმოწერიდან 17 თვეში გადმოეცემა, ხოლო სამივე საავიაციო ტექნიკა 20 თვემდე პერიოდში საქართველოში იქნება, სრულ საფრენოსნო მდგომარეობაში.

„კონტრაქტი ახალი შვეულმფრენების შეძენასთან ერთად, პილოტებისა და ინჟინრების გადამზადებას, მარაგი ნაწილების შეძენასა და 3-წლიან საქარხნო გარანტიას მოიცავს“.

წარჩინებულ სტუდენტებს „მწვანე სტიპენდიები“ გადაეცათ

„მნიშვნელოვანია, მხარი დავუჭიროთ ახალგაზრდებს, რომ მათ მიიღონ სათანადო ცოდნა და განათლება გარემოსდაცვითი მიმართულებით, დაეუფლონ ისეთ მნიშვნელოვან პროფესიებს, როგორიც არის გეოლოგია, ჰიდროლოგია, ეკოლოგია. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ განათლების სამინისტროსთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც, სტიმულს ვაძლევთ ახალგაზრდებს, რომ დაინტერესდნენ აღნიშნული პროფესიებით და, შემდგომ, ემსახურონ ქვეყანას“, — ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ გარემოსდაცვითი მიმართულების სტუდენტებისთვის „მწვანე სტიპენდიების“ გადაცემის ღონისძიებაზე განაცხადა.

საქართველოს 8 უნივერსიტეტიდან 1500 ლარიანი სტიპენდიით გარემოსდაცვითი მიმართულების 32 სტუდენტი დაჯილდოვდა. „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციასა და წარჩინებული სტუდენტების წახალისებას. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის უწყებებში.

როგორც გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში (UNDP), ნიკ ბერესფორდმა ღონისძიებაზე აღნიშნა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გარემოს დაცვით სფეროში მეცნიერული მიმართულება არის უაღრესად აქტუალური და მთავრობის მხრიდან ასეთი მხარდაჭერა ხაზგასმით მისასალმებელია.

აღსანიშნავია, რომ სტიპენდიები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკა თოდუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკა თოდუა (პ/ნ 19001087149), ზუგდიდი, პუშკინის ქ. 23
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, სოფელი ახალსოფელი (საკადასტრო კოდი: 43.11.01.294 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19609.62 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 22 დეკემბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 5 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP85192422; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 851924
6. **მოვალე:** ნიკა თოდუა (პ/ნ 19001087149), ზუგდიდი, პუშკინის ქ. 23;
ინგა თოდუა (პ/ნ 19001032098), თბილისი, ვაჟა-ფშაველას 23 კვარტალი, ბინა 34;
მერაბ ბიგვავა (პ/ნ 19001013746), ზუგდიდი, ა. ფურცელაძის ქ. 40
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP85192422; ლოტის ნომერი: 851924).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 5 იანვრის 10:00 საათამდე.

ლეგიონერი

სანდროს ორმაგი დუბლი

„მილუოკი გაქსმა“ სანდრო მამუკელაშვილი ისევ G ლიგაში გაანათხოვრა, სადაც ქართველმა ლეგიონერმა მორიგი შედეგიანი თამაში ჩაატარა.

„ვისკონსინ ჰერდმა“ სტუმრად „ბირმინგემი“ 99:85 დაამარცხა, სანდრო კი პარკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მამუკელაშვილმა 31 წუთში 21 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. მან 16-დან 10 სროლა გამოიყენა და შეხვედრაში შედეგიანობით მხოლოდ ორ კალათბურთელს ჩამორჩა.

„ვისკონსინ ჰერდი“ ცენტრალურ დივიზიონში 7 მოგებით და 10 წაგებით მეექვსე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი დღეს „ოსტინის“ წინააღმდეგ გამართავს.

პროგნოზი

სიტყვის კაცი

არგენტინის ნაკრების ფეხბურთელმა როდრიგო დე პაულმა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა სექტემბერში იწინასწარმეტყველა, მარათზე დაწერა და ლეო მესის ოთახში დამალა.

დე პაული არგენტინის ნაკრების შეკრების დროს მესის ოთახში ჩუმად შეიპარა და მასთან ხელნაწერი წერილი დატოვა, რომელშიც წერია: „მე **როდრიგო დე პაული ვარ (7). დღეს 2022 წლის 18 სექტემბერია. მე ამ ქაღალდს ხელს ვაწერ და ვამბობ, რომ აქედან ორ თვეში ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატს მოვიგებთ.“**

დე პაულის წინასწარმეტყველება გამართლდა და არგენტინის ნაკრები ისტორიაში მესამედ დაეუფლა მსოფლიოს ჩემპიონის თასს, თავად დე პაულმა კი მაღალი დონის ტურნირი ჩაატარა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ როდრიგო დე პაული და მისი თანაგუნდელები ნანატრ თასს გუენოს აირესის ქუჩებში მთელი დღის განმავლობაში ზეიმობდნენ.

მემორიალი

გვახსოვხართ, ბიჭებო!

როგორც მოგეხსენებათ, გაისად სოხუმის დაცემიდან 30 წელი სრულდება. აფხაზეთის ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების – ვასილ კილაძის, ილია მელაძის, რევაზ მუმლაძის, გიორგი მიროტაძისა და ნიკოლოზ ღიბრაძის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა ამ დღეებში გამართული მინი-ფეხბურთელთა „იმედის, ღიმილის, ოცნების მიჭების“ მემორიალი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ მარად ჭაბუკებად დარჩენილი გმირების მამები – ლევან მიროტაძე და ავთო ღიბრაძე.

ჩვენ სისტემატურად ვაშუქებთ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ორგანიზებული ტურნირების პერიპეტიებს და გამონაკლისს არც აღნიშნული ასპარეზობა წარმოადგენდა, რის გამოც მადლიერებას იმსახურებენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, კანცლერი, პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე**, სტუდენტური თვითმმართველობა (პრეზიდენტი – ლადო გაბეჩავა, ვიცე-პრეზიდენტი – **მარიამ მერაბიშვილი,** სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთი – **თათია ღვინაძე**), სპორტის ცენტრი (დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**, მოადგილე – **გიგი შუბითიძე**, ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე**). მოკლედ, ლიდერი ლიდერობას ინარჩუნებს.

გაუწყებთ 20 გუნდის მონაწილეობით გამართული მემორიალის გადამწყვეტ შეხვედრათა შედეგებს: **მატჩი მე-3 ადგილისათვის** – თსსუ იუნაიტედი – ფერმერები (უცხოენოვანები) 6:2. **ფინალი** – ზესტაფონი – მენედა (მე – მედიკამენტი, ნე – ნექტარი, და – დასტაქარი) 3:1. გამარჯვებულთაგან სამივე გოლი რატი ლეჟავამ გაიტანა, ხოლო მეტოქეთაგან – კაპიტანმა კოკი ჯინჭარაძემ.

ჩემპიონა შემადგენლობა: გიორგი ხიდაშელი (კაპიტანი), თორნიკე ფუტკარაძე, საბა სამხარაძე, მირიან ჯაფიაშვილი, დავით სულხანიშვილი, ვაჟა ჯუღელი, ზაზა გაბაძე, რატი ლეჟავა, თენგო შარიქაძე, რეზი შურღაია, ნიკა გაგოშიძე, გუნდის წარმომადგენელი – ვაჩე ენუქიძე.

რაც შეეხება ინდივიდუალურ პრიზებს, მათი მფლობელები გახდნენ:

საუკეთესო ბომბარდირი – გოგა ლობჯანიძე – 12 გოლი.

ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი – რატი ლეჟავა.

საუკეთესო მეკარეები – თორნიკე ფუტკარაძე და ანდრია გაბრიჩიძე.

საუკეთესო მცველი – მირიან ჯაფიაშვილი.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე – კოკი ჯინჭარაძე.

სარაგბო მოზაიკა

გორაჯალოსანი გიორგი კვესელაძე ჩემპიონთა თასის მეორე ტურში, დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის მიუხედავად, სიმბოლურ გუნდში დაასახელეს.

ქართველმა მორაგბემ „ლენსტერის“ წინააღმდეგ მატჩში 9 ბოჭვა შეასრულა 90%-იანი სიზუსტით. გარდა ამისა, მან 18 პასი და 4 ოფლოუდიც გააკეთა. ამ სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩემპიონთა თასმა ის მეორე ტურის სიმბოლურ გუნდში 13 ნომრად გაამწესა.

კვესელაძის სიმბოლურ გუნდში მოხვედრა გამორჩეული იმით არის, რომ ქართველი ცენტრის „გლოსტერმა“ „ლენსტერთან“ დიდი ანგარიშით, 0:57 წააგო და 1 მოგებითა და 1 მარცხით მე-8 პოზიციას იკავებს.

გიორგი საქართველოს ნაკრების ღირსებას 2017 წლიდან იცავს და 32 მატჩში 25 ქულა აქვს დაგროვებული.

* * *

ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის შემდეგ კატარის სპორტულ ფედერაციას სურს ქვეყანაში სხვა სახეობების განვითარებასაც შეუწყოს ხელი და ისინი 2025 წელს „ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების“ ტესტ-მატჩის მასპინძლობაზე აპირებენ განაცხადის შეტანას.

ქვეყანა ბოლო პერიოდში უფრო და უფრო ხშირად ცდილობს 7-კაცა რაგბის სერიების მასპინძლობას, ამჯერად კი მათ შეთავაზება 2025 წელს „ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების“ ტესტ-მატჩის მასპინძლობაზე გააკეთეს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში „ლომები“ ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.გარდა ამისა, კატარის რაგბის ფედერაცია საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებთან მართავს შეხვედრებს, რათა იმ 8-დან ერთ-ერთ სტადიონზე მოიპოვოს უფლება, რომლებიც მუნდიალისთვის აშენდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები“ ინგლისიდან, ირლანდიიდან, შოტლანდიიდან და უელსიდან აყვანილი მორაგბეების ნაკრებია, რომელიც ტესტ-მატჩებს მსოფლიო რაგბის საუკეთესო გუნდებთან მართავს.

* * *

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 9 თვით ადრე ინგლისის ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს.

იმედგამაცრუებელი 2022 წლის შემდეგ ედი ჯონსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მას კი ყოფილი მორაგბე **სტივ ბორთვიკი** შეცვლის, რომელიც იქამდე ჯონსის ასისტენტად მუშაობდა.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა და მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ველი. ინგლისური რაგბი სავსეა ნიჭით და მე მინდა ისეთი გუნდი შევქმნა, რომელიც ჩვენს უდიდეს პოტენციალს ბოლომდე გამოამუღავნებს და ახალგაზრდებს შთააგონებს რაგბის თამაშის დაწყებას. მინდა, მთელი ქვეყანა ჩვენით ამაყობდეს და სიამოვნებას იღებდეს“ – განაცხადა ბორთვიკმა.

სტივ ბორთვიკმა 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ის 2027 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე იმუშავებს. მისი სარაგბო კარიერა ორ გუნდს – „ბათს“ და „სარასენსს“ მოიცავს, ინგლისის ნაკრებში კი 57 შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა.

აუზში

მეოთხეც წააგო!..

წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე „დინამო თბილისმა“ მეოთხე ტურის შეხვედრა ჩაატარა და მორიგი მარცხი განიცადა.

ქართული გუნდი სტუმრად „იადრანს“ დაუპირისპირდა და პრაქტიკულად უშანსოდ, 7:21 დამარცხდა. მასპინძლებმა პირველივე პერიოდში 3-ბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს, მეორე პერიოდი კი „დინამომ“ 0:8 წააგო და ნათელი გახდა, რომ მატჩის გადარჩენას ვეღარ მოახერხებდა. საქართველოს ჩემპიონმა მომდევნო ორი პერიოდიც დათმო და საბოლოოდ სოლიდური სხვაობით შერცხვა. „დინამო თბილისი“ A ჯგუფში ოთხი ტურის შემდეგ 4 წაგებით ბოლო, მერვე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 10 იანვარს, სტუმრად „რადნიჩკის“ დაუპირისპირდება.

საქართველოში წამებულნი ღირსი მამანი და დედანი



24 დეკემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა იმ წმინდანს, რომლებიც საქართველოში ეწამნენ.

...ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლების გადახედვისას, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გაცნობისას, გვებადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია. უამრავი ქართველი ქრისტესთვის, ასევე ეკლესიისა და ერისთვის ეწამა, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის იბრძოდა.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანთა ღვაწლის აღწერა შეუძლებელია. ბევრმა ქართველმა მოიბანა მიწიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას. ასევე ძალიან ბევრმა განიწმიდა სული მონასტრის ცივ კედლებში ლოცვით, მარხვით და მოღვაწეობით. მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ერის მომავალს!

24 დეკემბრის მოსახსენებელში საქართველოში წამებულთა და ღირსთა და დედათა და მამათა შორის უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ან ბანის მიხედვით ჩამოთვლილი მამათა და დედათა ქართული წარმოშობის სახელი (ასეთი სახელი კი სამასამდეა!).

გიული ლიპარტია

როგორ შევხვდეთ კატა-კურდღლის წელს?!

2023 კატა-კურდღლის (ჩინეთში კურდღელი, აღმოსავლეთში კატა) წელია. ასტროლოგებმა საახალწლო რჩევები უხვად ჩამოგვირიგეს.

მათი რჩევით მომავალი წელი საუკეთესოა დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად. საახალწლო სუფრა შეგვიძლია მრავალფეროვანი გვქონდეს, მხოლოდ კურდღლის ხორცს ნუ გავეკარებით. დანარჩენი რაც გნებავთ – მამაპაპური კერძები იქნება, თუ ეგზოტიკური, ყველაფერი ნებადართულია...

კატა-კურდღლის წელში ძირითადი ფერი ლურჯია. ნაძვი შეგვიძლია ძირითადად ამ ფერში მოვრთოთ. ფერთა გამა მრავალფეროვანია – შავი, თეთრი, ყვითელი, ჩალისფერი, ოქროსფერი, მწვანე. მცირეოდენ აქსესუარებში, დამხმარე ფერად წითელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ. წითლიდან ენერგია მოდის. 2023-ში ენერგიის ნაკლებობაა და მცირე დოზით წითლის გამოყენება დასაშვებია.

კარგი იქნება თუ ნაძვის გვერდით დავდგამთ ჩიჩილაკს და მანდარინის ხეს ან მის ტოტს. მანდარინის ხე აღმოსავლეთში ნაძვის ხედ ითვლება. ეს არის ხვავისა და ბარაქის აღმოსავლური ვარიაცია.

ვისაც ახალი წლის ღამის სასწაულების მაინც გვჯერა, შეგვიძლია დავანთოთ შვიდი სანთელი. თუ სანთლები ზემოთ ჩამოთვლილ ფერებში იქნება, ხომ კარგი. მადლობა გადავუხადოთ წინა წელს და როცა საათი 12-ს ჩამოჰკრავს, უნდა ჩავუთქვათ სურვილი თითოეულ სანთელს.

2023 წელს წყლის სტიქია მართავს. წყალი ფინანსების სტიქიაა. შეგვიძლია საახალწლო სუფრაზე დავდგათ კატის ან კურდღლის ფორმის ყულაბა. სამი ორ ლარიანი და ერთი ლარიანი მოვიმარაგოთ და ყოველ ჩაგდებაზე ჩავუთქვათ ფინანსური სურვილი. ამ ფულის გამოყენება 22 იანვრის შემდეგ შეგიძლიათ. რეალურად, ამ რიცხვიდან შემოდის კატა-კურდღლის წელი.

ასტროლოგები გვაიმედებენ, რომ მშვიდი წელი გვექნება. ვეფხვის წელიწადი ყოველთვის მძიმე და საომარია. კატა-კურდღელი ამოსუნთქვის და დასვენების საშუალებას მოგვცემს. შემდეგ დრაკონი მოდის, რომელიც არანაკლებ შემტევია, ვიდრე ვეფხვი...

ომი გაგრძელდება, მაგრამ ომის ფორმა ტრანსფორმირდება და მაისისკენ დიპლომატიური გზით მოგვარების შესაძლებლობები იქნება გამოყენებული. ზამთარი ბევრ საკითხს გადაწყვეტს.

კატა ინტუიციური ნიშანია. ადამიანებში ინტუიცია მოიმატებს, მოიმატებს დიპლომატიურობა, თავისუფლების შეგრძნება და დამოუკიდებლად მოქმედების პრინციპები.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს წელი გამრავლების წლად ითვლება და თუ ამას გავითვალისწინებთ ჩვენნაირი მცირე ერი მართლაც მნიშვნელოვანი იქნება.

„კუჩხი-ბედინერის“ ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, „ახლა მთლად ჩემი ფეხის იმედად ნუ იქნებიო“!, რა თქმა უნდა, ჩვენ თუ არ ვიმოქმედეთ გონება არ დავძაბეთ, მხოლოდ ვარსკვლავები და სურვილების ჩაფიქრება ვერაფერს გვიშველის. თუმცა ამ რჩევების გათვალისწინება ზიანს ნადვილად არ მოგვიტანს. **მშვიდობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოეტანოს, დამდეგ შობა-ახალ წელს თითოეული ჩვენგანის ოჯახებში.**

რუსუდან ქოგულია

სანთელი

მეუღლე ცირა სამუშია, შვილები გვანცა, ლუკა, ანდრია, მამა კლიმენტი, ძმა ომარი, შვილიშვილები ალექსანდე, ანა ცინცაძეები, ძმისშვილები ნიკოლოზი, დათი, სანდრო, ბიძა თემურ ჯანჯღლავა, ბიძაშვილი ზურა ჯანჯღლავა, სიძე აკაკი ცინცაძე, სიმამრი რეზო სამუშია, სიდედრი მაყვალა შარაშენიძე, ცოლისძმა შვილებით პაატა, რეზი ნიკოლოზი, ეკატერინე სამუშიები, რძლები ირინა გრძელიძე, ირმა კინწურაშვილი მწუხარებით იუწყებიან

ირაკლი ჯანჯღლავას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 22,23 დეკემბერს, 17:00 სთ-დან.

მისამართი: თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №49ბ (ბაგები).

გამოსვენება 24 დეკემბერს 14:00 საათზე, ვერის ბაღში მდებარე ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან (ლურჯი მონასტერი).

გივი აბდუშელიშვილი, ოთარ ჭითანავა, ბონდო ჯიძია, გურამ გუნავა, ჯემალ კვირტია, მერაბ ზამბახიძე, ლადო თათარიშვილი, ლერი ჭითანავა, თენგიზ შანავა, კახა არდია, ნუგზარ მოლაშხია, გივი სოსელია, მურმან ნაჭყებია, ავთო ბესელია, ვაჟა ფიფია, გოგა ზაძარაია, დათო იზორია, ალვერ იზორია, ნუგზარ გვაზავა, გურამ წიწავა, ანზორ ჩახაია, ოთო ჭითანავა იუწყებიან უახლოესი მეგობრის კლიმენტი ჯანჯღლავას შვილის

ირაკლი ჯანჯღლავას

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და სანათესაოს.

ბათუმში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი დაიწვა

ბათუმში, გუშინ, 21 დეკემბერს, „ლიბერთი ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალი ნაწილობრივ დაიწვა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. ბანკის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხანძარი გამთენიისას გაჩნდა, როცა შენობაში არავინ იმყოფებოდა. მათივე ინფორმაციით, ხანძარი სავარაუდოდ, ელექტროკაბელებმა გამოიწვია. ხანძრის შედეგად დაზიანდა ინვენტარი. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს, ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ.

შიდა ქართლის ინფრასტრუქტურული პროექტები

შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში დავათვალიერეთ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მერებთან ერთად. მინდა აღვნიშნო, რომ შიდა ქართლი საქართველოს მასშტაბით ლიდერია შესრულებული სამუშაოების ნაწილში. წელს რეგიონში 32 მილიონი ლარის ოდენობის, დაახლოებით, 370 პროექტი დაფინანსდა. პროექტები განსხვავდება თავისი მასშტაბებით. წელს ამ 32 მილიონიდან 8 მილიონი ლარი მიიმართა წყალმომარაგების პროექტებზე. კარგი მაგალითია ტყვიავის წყალმომარაგების პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 3 მილიონი ლარი იყო, ამიერიდან აქ მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა განაცხადა. შიდა ქართლის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის გზის რეაბილიტაციის პროექტი ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას და ეზოში შესასვლელების მოწყობას ითვალისწინებს. სამშენებლო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ქალაქ კასპში, ასევე, მიმდინარეობს ერთ-ერთი ცენტრალური, კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქუჩას სარეაბილიტაციო სამუშაოები წლებია არ ჩატარებია. პროექტი რეგიონების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ქუჩის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის ხელს შეუწყობს ქალაქში შესასვლელი აღმაშენებლის ქუჩის განტვირთვას.

ადგილზე ინტენსიურად ტარდება ყველა შესაბამისი ღონისძიება. მათ შორის უკვე დაიგო ხელოვნური საფარი, მოეწყო ტრიბუნები და განათება. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, სტადიონი „მასტერ ლიგის“ ტურნირის მოთხოვნებს სრულად დაკმაყოფილებს.

პროექტის ღირებულება ნახევარ მილიონამდე ლარს შეადგენს, რაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, პირველ მოადგილე გიორგი ჩიფჩიურთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

დუშეთის ახალი სპორტული მოედანი ექნება

ძალაძ დუშეთში **თანამედროვე სტანდარტების მქონე სპორტული მოედანი ეწყობა. სამშენებლო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. ინფორმაციას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ მუსიკოსები და არტისტები საქართველოდან, გაერთიანდნენ, რათა კლასიკური მუსიკის განსაკუთრებული საღამოები სპეციალურად გამართონ.

Amplitudes Ensemble თითოეული კონცერტი მუსიკალური მაგიაა, სადაც მსმენელი მთლიანად შეიგრძნობს სცენის ჯადოქრობას. პარასკევს, 23 დეკემბერს, 22:00 საათზე Amplitudes Ensemble – Silk Factory studio-ში გამართავს სადებიუტო კონცერტს, ეს იქნება კლასიკური ატმოსფერული მუსიკის საღამო, სადაც მსმენელი ჩაიძირება ვენეციური კარნავალის, იაპონური პოეზიისა და მუსიკის მისტიკურობაში. ამ საღამოს გაჟღერდება თანამედროვე საკულტო კომპოზიტორის, მაქს რიხტერის მიერ ინტერპრეტირებული ვივალდის მუსიკა და მინიატურები ლეგენდარული იაპონური დასარტყამი ინსტრუმენტებით. მუსიკალურ საღამოზე სტუმრებს ასევე ექნებათ საშუალება დააგემოვნონ უგემრიელესი სასმელები და ეგზოტიკური სამზარეულო.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝ: ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ!

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ, სოფიას მოედანზე საახალწლო ნაძვის ხე აინთო. ამის შესახებ კიევის მერმა, ვიტალი კლიჩკომ განაცხადა. „წელს ბევრი იყო მსჯელობა იმაზე, ღირს თუ არა ნაძვის ხის დადგმა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საომარი მდგომარეობის, დაბომბვისა და ელექტროენერგიის გათიშვის პირობებში. მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ნაძვის ხე უნდა იყოს! ჩვენს შვილებს დღესასწაული უნდა ჰქონდეთ, მიუხედავად რუსი ბარბაროსების ყველა მცდელობისა, უკრაინელებს შობა-ახალი წლის ხალისი წაართვან“,

– განაცხადა კიევის მერმა. **ამასთან, წლევანდელი ზეიმის ფორმატი წინა ზეიმისგან განსხვავებული იქნება: არ იქნება მასობრივი ღონისძიებები. „დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინელები დღეს მშვიდობისა და გამარჯვების სურვილს ჩაიფიქრებენ. ეს აუცილებლად ასდება! ჩვენ გვჯერა უკრაინის! გვჯერა შეიარაღებული ძალების!“** – დასძინა ვიტალი კლიჩკომ.

„ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ



ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲝ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲐ

18 დეკემბერს ყაზახეთის ქალაქ ალმათიში ევრაზიის XVI საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის ცერემონიალი გაიმართა. კინოფესტივალზე საქართველოს პირველი არხის თანამონაწილეობით შექმნილმა ფილმმა „მეოთხე ბრაიტონი“ კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა, რეჟისორი ლევან კოღუაშვილი საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის დაჯილდოვდა.

ერთი კვირის განმავლობაში კინოფესტივალის დამსწრე საზოგადოებამ და მონაწილეებმა 25 სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარდგენილი ფილმები ნახეს. ფესტივალის სხვადასხვა პროგრამაში 50-მა ფილმმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან სამი მსოფლიო პრემიერა გახლდათ: „მშვენიერი ელენი“, „ბორანი და აუილი“ და „ივანის გარეშე ნუ დამარხავ“. შედგა ორი აზიური პრემიერაც: „ცივი, როგორც მარმარილო“ და „ღმერთის ძახილი“. მაყურებელმა ასევე იხილა ოსკარის ჯილდოზე მათი ქვეყნების მიერ ნომინირებული ოთხი ფილმი; ნახეს ფილმი „ესმიდეც“, რომელიც აზიურ ოსკარად წოდებული აზია-წყნარი ოკეანის პრემიის გამარჯვებულია.

ფესტივალის ჟიურიმ საკონკურსო პროგრამების გამარჯვებულები რამდენიმე კატეგორიაში გამოავლინა:

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

საუკეთესო ფილმი – **„ესმიდე“** (რეჟისორი: აქტან არიმ კუბატი, ყირგიზეთი);

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი – ლევან კოღუაშვილი (**„მეოთხე ბრაიტონი“,** საქართველო);

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი – ასიფ რუსტამოვი (**„ცივი, როგორც მარმარილო“,** აზერბაიჯანი);

ჟიურის სპეციალური პრიზი – კამარა კამალოვა (**„გზა არსაითკენ“,** უზბეკეთი);

მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი – ნავიდ მოჰამადზადე (**„კედლის მიღმა“** ირანი);

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი – შენ ში იუ (**„ქალი“,** ჩინეთი);

ჟიურის დიპლომი – კეტაი დაული როლისთვის ფილმში **„ბორანი“** (ყაზახეთი);

ჟიურის დიპლომი – ფილმი **„ივანის გარეშე ნუ დამარხავ“** (რეჟისორი: ლუბოვ ბორისოვა, რუსეთი);

ჟიურის დიპლომი – ფილმი **„ილ ბოემო“** (რეჟისორი: პეტერ ვაცლავი, ჩეხეთი).

ფილმი **„მეოთხე ბრაიტონი“** ოთხი ქვეყნის თანამშრომლობით არის შექმნილი, თანაპროდიუსერია საქართველოს პირველი არხი, აღმასრულებელი პროდიუსერები არიან: **არმენ ზულოიანი, თინათინ ბერძენიშვილი** და **რუსუდან მანჯგალაძე**. „მეოთხე ბრაიტონის“ ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიუ იორკში, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი საქართველოდან „ოსკარზე“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში იყო წარდგენილი. ნამუშევარს უკვე მრავალი პრიზი აქვს აღებული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲐᲜ ᲘᲧᲘᲓᲔᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ!

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ ᲑᲔᲭᲓᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-�გᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ-�გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ-ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ 105 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ �გᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ...

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲬᲘ�გᲜᲘᲔᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ – ᲕᲘᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ, ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲝ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ!

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲝᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ:

ᲨᲞᲡ „ᲔᲚᲕᲐᲧᲝ“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;

ᲨᲞᲡ „ᲞᲚᲐᲜᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲢᲔ“, 2 99 18 59.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲐᲨᲘ ᲣᲨᲣᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲗᲕᲘᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲪ – ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ №17Ა, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲝᲤᲘᲡᲘ, ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.6667; ᲔᲕᲠᲝ - 2.8368;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2443;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.8635; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1430;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5714;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.7717

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:			
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ +7
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-7,	ᲓᲦᲔ +7
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:			
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-1,	ᲓᲦᲔ +15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-4,	ᲓᲦᲔ +12
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	-2,	ᲓᲦᲔ +6

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge